ხუთშაბათი, 1917 წ. გიორგობისთვის 23 (6) № 258
წელიწადი მესამე

ხუთშაბათი, 1917 წ. გიორგობისთვის 23 (6) № 258
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5 თავად-აზნაურობის ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გაზეთის შინაარსი

ცნობებიდან

კერძო ცნობებით მოკავშირეთ ბოლშევიკური მთავრობა უცვნიათ.—კავკასიის ფრონტზე დროებითი ზავი ჩამოუგდიათ.—კრილენკოს რწმუნებულებმა ბრესტლიტოვსკში დროებით ზავზე ხელი მოაწერეს.—ავსტრია-უნგრეთი თანახმაა ზავის ჩამოგდებაზე.—ბოლშევიკებმა სამხედრო ტყვეები დაითხოვეს.—ტროცკიმ საზღვარ გარედ მყოფნი ელჩები გადააყენა.—ბერლინში, ბუდაპეშტში და ლიონში საზავო დემონსტრაციები ხდება.—მოგილევიდან ბანაკი კიევში გადააქვთ.

წერილებიდან

გერონტი ქიქოძე. წინასწარი ზავი.
რ. ინგილო. ეროვნული კრება და ჩვენი ბოლშევიკები.

ეკ. გაბაშვილი. „სტატსკი სოვეტნიკი ნიკოლოოზ ბაადიჩ ბადაევი"
მ. ჯანაშვილი. მოწინავე რაზმი (დასასრული).

კორესპონდენცია, (ზემო იმერეთიდან).

ეროვნული ყრილობის ანგარიში.
რევოლუცია ფინლიანდიაში.

ღრმად დამწუხრებული შვილები თეიმურაზ, იაგორ, ტარიელ, ალექსანდრე კალანდაძეები და რძლები სალომე, კაკა, ფიდოსი და გულნარა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი დედისა

მზეხა თავართქილაძის ასულის
კალანდაძისას

რომლის გამოტირება და დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 23 ნოემბერს, სოფელ ხიდისთავში.

1—881—1

გულდამწყვეტილი შვილიშვილები თომა, დათიკო, ანიჩკა, მარო, სანდრო, გიგო, ბატკუნა, კოტე, პეპუა, გოგონა, ნინა, ციბულო, გერმანე, შალიკო, თამარა, ვანო, ელენე, გრიშა, ჩიტო და სუცია კალანდაძეები აუწყებენ ნათესავებს გარდაცვალებას მათი საყვარელი და დაუვიწყარი ბებიასი

მზეხა თავართქილაძის ასულის
კალანდაძისას

რომლის დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 23 ნოემბერს სოფელ ხიდისთავში.

1—881—1

ღრმად დამწუხრებული დედა მატრონა, მამა კოწია, ძმები სოლომონ და ილიკო (ძუკუ) კოწიას ძენი აბრამიანი, რძალი ქსენია (თეოფანე) შინგალიას ასული აბრამიასი და ნატალია აბრამიას ასული ფუტკარაძისა, სიძე ვლადიმერ ბიჭიას ძე ფუტკარაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს პირველის და მეორის საყვარელი შვილის, მესამე და მეოთხის ძვირფასი ძმის, მეხუთის მაზლის, მეექვსის ძვირფასი ძმის და უკანასკნელის ცოლის ძმის

აპოლონ კოწიას ძე
აბრამიას

უდროოდ გარდაცვალებას ქ. ბაქოში, რომელიც ჩამოსვენებული იქნება სად. ახალსენაკში 23 ნოემბერს, საიდანაც წაასვენებენ სოფ. ხორგაში (ზუგდ. მაზრა). დასაფლავება მოხდება 26 ნოემბერს დილით კვირას წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში

1—882—1

საქართველოს ეროვნული ყრილობა

ყრილობის მეორე დღე

სხდომა დღის 1½ იხსნება, აღფრთოვანება დარბაზში კვლავ დიდია. უზარმაზარი თეატრი სულ მთლად გაჭედილია ხალხით. თავმჯდომარის ადგილს იჭერს დეპუტატი აკაკი ჩხენკელი, რომელსაც მხურვალე ტაშით ეგებებიან.

ქართული პარტიების შეთანხმება საქართველოს საკითხზე

აკ. ჩხენკელი. ქართულ ინტერპარტიულ საბჭოში, საქართველოში ყველა არსებული პარტია შეთანხმდა საქართველოს პოლიტიკურ საკითხზე. ყველა პარტიების დავალებით პოლიტიკურ მომენტზე სიტყვას წარმოსთქვამს ნოე ჟორდანია. მას ვაძლევ სიტყვას.

ნოე ჟორდანიას მოხსენება

პოლიტიკური მომენტი და ქართველი ერი.

საქართველო კვლავ იმ პირობებში იმყოფება დღეს, რა პირობებშიაც იმყოფებოდა იგი ამ ასი წლის წინად. ჩვენ დღესაც იმ შეხედულებაზე ვართ და რუსეთის ნიადაგზე ვართ. საქართველოს რუსეთთან შეერთება არ ყოფილა ქორწინების ნაყოფი. ეს ისტორიული, აუცილებელი მოვლენა იყო. შეერთება იყო პასიური. ჩვენ უნდა გვქონოდა ჩვენი შინაური მართველობა. რუსეთმა ჩვენ ბევრი შეურაცხყოფა მოგვაყენა, მიუხედავად ამისა საქართველოში არ ყოფილა იგეთი მიმართულება, რომელიც რუსეთიდან ჩამოშორებას მოითხოვდა. დღევანდელი ომი არის ომი სამრეწველო. ამიტომ ამ ომის მონაწილენი უნდა ყოფილიყვნენ მოწყობილი სახელმწიფონი. რუსეთი არ არის სამრეწველო სახელმწიფო და მისი ტრაგედიაც ამაში იყო. ამ წინააღმდეგობამ წარმოშვა რუსეთის რევოლუცია. პირველი რევოლუციის მიზანი იყო გამარჯვების მოპოება რუსეთისათვის. მაგრამ მაშინ ყველას ავიწყდებოდათ, რომ რევოლუციას არ შეეძლო ეკონომიურად წაეწია სახელმწიფო. ამ წინააღმდეგობამ ჩვენ მოგვცა მეორე რევოლუცია. ამ მეორე რევოლუციას არ მისდევდა რუსეთის უმრავლესობა, თუმცა მიზანი მეორე რევოლუციისა ეროვნული იყო. გარდა ამისა მეორე რევოლუციას კიდევ აქვს სხვა მიზანი—მიზანი სოციალისტური. როგორც ვსთქვით, რუსეთი ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანაა და აი ამ ქვეყანამ მოინდომა, რომ სოციალიზმის მოციქულად მოვლინებოდა ევროპას. თუ პირველმა რევოლუციამ რუსეთი აამაღლა, მეორე რევოლუციამ რუსეთი დაჰქსაქსა. აქედან წარმოიშვა დღევანდელი მომენტის სირთულე. ომის დროს ჩვენ დამოუკიდებელი ცხოვრება არ შეგვეძლო, თუ სხვა არაფერი, მარტო ჯარის ხარჯებს ვერ გავუძლებდით. ისე მშვიდობიანობის დროს შესაძლებელი იქნება ჩვენი დამოუკიდებლობა. მიუხედავად ამისა, აუცილებელია რუსეთის ცენტრალი ძალის აღდგენა. ჩვენს გარდა, ამიერ კავკასიის სხვა ერებსაც სწადიათ ამ ცენტრის აღდგენა. მანამდე კი ჩვენ ვეცდებით რომ შესდგეს ამიერ კავკასიის მთავრობა. იმ პირებიდან, რომელნიც არჩეულნი იქნებიან რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის, შეადგენენ ადგილობრივ, ამიერ კავკასიის სეიმს. მხოლოდ დეპუტატთა რიცხვი ერთსამად უნდა იქნეს გადიდებული. ამიერ კავკასიის სეიმში დაარსდებიან ეროვნული სექციები (ქართული, სომხური, თათრული) რომელნიც მოახდენენ ეროვნულ და პოლიტიკურ ძალების შეერთებას. ყოველი ერის უფლებებს და მთლიანობას ჯარი დაიცავს. (მხურვალე ტაში) თუკი რუსეთში არ შესდგა დამფუძნებელი კრება, მაშინ იძულებული ვიქნებით ადგილობრივი დამფუძნებელი კრება მოვიწვიოთ და ჩვენ თვით მივსცეთ კონსტიტუცია. (მხურვალე და ხანგრძლივი ტაში) დაგვიანება არ ვარგა, თუ დავიგვიანეთ, კვლავ ძველ მდგომარეობაში ჩავცვივდებით. ქართულ ინტერპარტიულ საბჭოში შევთანხმდით, რომ საქართველოს მიენიჭოს შინაგანი დამოუკიდებელი თვითმართველობა, იმ უფლებით, რომ გამოსცეს კანონები (ტაში). ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი ეროვნული ადმინისტრაცია. თუ რუსეთში იარსებებს რუსული ჯარი, მაშინ საქართველოში უნდა არსებობდეს ქართული ჯარი (მხურვალე ტაში) ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი ეროვნული სასამართლო, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ცხოვრების ყოველივე დარგის გაეროვნება. ჩვენ რომ ამ მიზნებს მივაღწიოთ, საჭიროა, რომ ამიერ კავკასიის სხვა ერებმაც ესეთივე მოითხოვონ. (ტაში) ყველა ამისათვის ჩვენ უნდა ავირჩიოთ დროებითი ეროვნული საბჭო.

პოლიტიკურ პარტიათა განცხადება.

დღევანდელი დღე თავდებია საქართველოს გაერთიანებისა.

გრიგოლ რცხილაძე (ს.-ფედ.). დღევანდელი დღე დიდი დღეა. დღევანდელი დღე თავდებია საქართველოს გაერთიანებისა და მისი პოლიტიკური იდეალების განხორციელებისა. ს.-ფედერალისტებმა გადავწყვიტეთ სეპარატიულად არ გამოვიდეთ.

საქართველო დღეიდან იწყებს არსებობას.

გიორგი ნათაძე (ს.-რ.). არის ხოლმე ისეთი წუთები, როდესაც ადამიანი განცდილი აღფრთოვანების გავლენის ქვეშ იმყოფება, არ უნდა ხმა ამოიღოს. სიჩუმეს არჩევს. ასჩვიდმეტი წლის განმავლობაში დღემდე საქართველო არ არსებობდა. საქართველო დღეს იწყებს არსებობას. (ტაში).

ნ. ჟორდანია ამიერიდან ქართველი ერის ბელადია.

ნ. ქარციგაძე (ლიონელი). ჩვენ „ლიონელები" დღეიდან ჩვენ სიტყვაზე უარს ვამბობთ, გამოიძებნა ძლიერი ენა, რომელმაც გააერთიანა ქართველი დემოკრატია. თუ დღემდე ნოე ჟორდანია ქართველი დემოკრატიის ბელადი იყო, დღეიდან იგი ქართველი ერის ბელადი ხდება (მქუხარე ტაში).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ გამოდის სეპარატიულად.

გიორგი გვაზავა. (ერ.-დემ.). ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავიდანვე იდგა ქართველი ერის მთლიანობის ნიადაგზე. დღეს ეს ლტოლვილება განხორციელდა. ამიტომ ჩვენი პარტია არ გამოდის სეპარატიულად.

დადგა დრო, როდესაც დემოკრატიამ უნდა გადაჭრას ეროვნული საკითხი.

გრიგოლ გიორგაძე (სოც.-დემ.). დადგა დრო, როდესაც ს. დემოკრატიამ უნდა წამოაყენოს და გადაჭრას კანონიერად ეროვნული საკითხი. ჩვენ დამფუძნებელი კრებიდან ნამდვილი პოლიტიკური ავტონომიით დავბრუნდებით.

ბოლშევიკების გამოსვლა.

ფ. მახარაძე. ნ. ჟორდანიას მოხსენება, რომელსაც ტაში დაუკრეს ეროვნულ-დემოკრატებმა და ს.-ფედერალისტებმა, დამარხულად უნდა ჩაითვალოს. არსებობს ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანო", (პარტერიდან ისმის ხმა: „არსებობს მეორე ანდაზაც: „ციხე შიგნიდან გატყდებაო"!). ჩვენ სეპარატიული გამოსვლით ვჭრით იმ შტოს, რომელზედაც ჩვენ ვსხედვართ... ან უნდა აღსდგეს კერენსკის მთავრობა, ან და ახალი უნდა დავუჭიროთ იმ მთავრობას, რომელიც საქმით იცავს დაბეჩავებულ ერების ინტერესებს. ქართულმა ინტერპარტიულ საბჭომ დაივიწყა ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესები. აკ. ჩხენკელმა განაცხადა, რომ ეს ყრილობა პირველი ეროვნული ყრილობაა, და განა შეიძლება ეროვნული ყრილობა ამ სახით. შეიძლება ეროვნული ყრილობის მოწვევა მკვდარ ორგანიზაციებიდან?! ქართველმა ხალხმა არ იცის, რისთვის შეიკრიბა ეროვნული ყრილობა. (ისმის ხმები „ვიცით" „ვიცით").

ა. ჩხენკელი. თქვენი დრო ლაპარაკის დასრულდა; (ისმის ხმები „გთხოვთ ილაპარაკოთ". შემდეგ გ. გორგაძის წინადადებით ორატორს ათი წუთით გაუგრძელეს ვადა).

ფ. მახარაძე ერთად ერთი ფრაქცია, რომელიც სავსებით იცავს ერის უფლებას, ეს ბოლშევიკური ფრაქციაა. სამწუხაროა, რომ აქ ოპოზიციაში ჩაუდგენ ამ ფრაქციას. ჩვენ იმ ხანაში ვცხოვრობთ, როდესაც ლახვარი ეცემა კაპიტალისტურ წესწყობილებას. ეს თავის თავად ერების განთავისუფლებას მოასწავებს. ომის ცეცხლში მხოლოდ პატარა ერები იღუპებოდენ. კერენსკის მთავრობა ისე იქცეოდა, როგორც მეფის. (ორატორს ვადა ლაპარაკის კვლავ გაუვიდა. მის მიერ წამოყენებულ საკითხზე ყრილობამ დაადგინა, რომ მსჯელობა არ იქონიოს. ამიტომ კამათი შესწყდა და სიტყვა საქართველოს განაპირა კუთხეების წარმომადგენელი მიეცათ).

სამურზაყანო შემაერთებელი ხიდი იქნება საქართველოს და აფხაზეთს შუა.

ი. გეგია. (სამურზაყანოელი) მე მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო იმ ძმურ დამოკიდებულებას, სამურზაყანოს, აფხაზეთს და საქართველოს შუა. ისტორიულად მათ ერთი უღელი უწევიათ. ისინი ძმები ყოფილან და ძმებად დარჩებიან. სამურზაყანო კისრულობს როლს, რომ საქართველოს და აფხაზეთის ხიდად გახდეს (ორატორის უკანასკნელი სიტყვა მხურვალე, ხანგრძლივმა ტაშმა დაფარა).

ზაქათალის კუთხე კეთილ-განწყობილებაში იქნება საქართველოსთან

სულთანოვი. ზაქათალის მცხოვრებლების დავალებით ვუცხადებ ქართულ ეროვნულ ყრილობას, რომ ზაქათალის ოლქი ძმურ და მეგობრულ დამოკიდებულებას დაიჭერს საქართველოსთან. ჩვენ საქართველოსთან ერთად დავიცავთ და პატივს ვსცემთ იმ თავისუფლებას, რომელსაც ამდენი ხანი შევნატროდით. (მხურვალე ტაში).

აჭარის სალამი

სიტყვა აჭარის წარმომადგენელს ისკანდერ ეფენდი ციგაძეს ეძლევა. მთელს დარბაზს ტაშის გრიალი იცავს. ციგაძე პარტერიდან სცენისკენ. ტაში თან და თან ძლიერდება და ოვაციებზედ გადადის. ისმის ხმები „გაუმარჯოს აჭარას", „გაუმარჯოს აჭარის და საქართველოს მთლიანობას!" ორატორი ტრიბუნაზე ადის, ტაში მაინც არ სცხრება.

ფიზიკურმა დაშორებამ ვერ მოახერხა ჩვენი სულიერი დაშორება

ისკანდერ ეფენდი ციგაძე (აჭარელი მოლა). პატივცემულნო უფროსნო ძმანო (ტაში). პირველად თაყვანს ვსცემ იმ უზენაეს, რომელიც ბრძანდება როგორც გამთიშველი, აგრეთვე შემაერთებელიც. შემდეგ მადლობა უნდა მოვახსენოთ იმ დახმარებისთვის, რომელიც თქვენ აღმოგვიჩინეთ ომის დროს. (ტაში). ისტორიული უწყალობის გამო ჩვენი სული დამახინჯებული და დასახიჩრებული იყო. დიდხანს ვიყავით თქვენგან დაშორებული, მაგრამ ფიზიკურმა დაშორებამ სულიერად ვერ დაგვაშორა ერთი მეორეს. აჭარლებს შეგვრჩა ქართული სული, ქართული ენა, სამშობლო, რომელმაც გამოზარდა გენიოსი შოთა რუსთაველი (ტაში). ჩვენ გვსურს, რომ თავისუფლად ვიცხოვროთ რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. სამშობლოს მოღალატეებს, პროვოკატორებს, რომელნიც სცდილობენ მღვრიე წყალში თევზის დაჭერას, მოვაგონებ აკაკის სიტყვებს:

„კრულ იყოს იმის სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა,
თვის ტომის დამჭკნებელსა
პირი მიუშვა კარზედა,
ხურავინ ისხავს სხვის ქუდსა
და ნუ სცვლის თავის ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის
უსუსური ცრემლის დენასა.

(მხურვალე ტაში). მაშ გაუმარჯოს თავისუფალ აჭარას, თავისუფალ საქართველოში. (ორატორი ტრიბუნას სტოვებს. დარბაზს კვლავ ხანგრძლივ ტაში იცავს. კვლავ ისმის ხმები „გაუმარჯოს აჭარას").

საქართველო ვერ იცნობს იმ მთავრობას, რომელიც ჯერ რუსის ხალხსაც არ უცვნია

ნ. ჟორდანია. ქართული პარტიების შეთანხმება პოლიტიკურ საკითხზე, არის დიდი ღირსება, რომელიც ყველა პარტიას ეკუთვნის (ტაში). ეროვნული საკითხი უნდა გადავჭრათ შეთანხმებით და არა ბრძოლით (ტაში). უწინ იყო დრო წერის, დღეს ის დრო წავიდა, დღეს დრო არის საქმის (მხურვალე ტაში). რასაც დღეს შევსძლებთ, ვერასოდეს ვერ შევსძლებთ. კავკასიის დემოკრატია მომხრე იყო, რომ მთავრობა ერთფეროვანი ყოფილიყო. პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე ქართული ყველა პარტიების წარმომადგენელი ამ აზრს იზიარებდნენ. ამბობდენ, რომ ქართულ ეროვნულ ყრილობაზე არ არის ჯარის კაცების წარმომადგენელი. ეს სიცრუეა. აქ არიან წარმომადგენელნი ჯარის-კაცთა ცენტრისა. მტკიცება კიდევ იმისი, რომ აქ არ არიან მუშათა წარმომადგენელნი, სიყალბეა. ჩვენ გვიკარნახეს, რომ მხარი დავუჭიროთ პეტროგრადის ბოლშევიკურ მთავრობას. პეტროგრადის მთავრობა რუსის მთავრობას არ უცვნია, და ნუ თუ ჩვენ უნდა გამოვუცხადოთ ასეთ მთავრობას ნდობა?! ჩვენ ვიცნობთ იმ მთავრობას, რომელსაც რუსეთი იცნობს. ბოლშევიკები იმით ამაყობენ, რომ იმათი პარტია, მომხრეა დაჩაგრულ ერების განთავისუფლების, მაგრამ ქართული ანდაზა ამბობს: სიტყვა სხვაა, საქმე სხვა, შუაში უდევს დიდი ზღვარი. (მხურვალე ტაში).

სექციების დაარსება.

პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლების მიერ მოხდა სექციების დაარსება, რომელნიც შეიმუშავებენ რეზოლუციებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ. სექცია სულ ათია.

1) ეროვნების სექციის თავმჯდომარედ არჩეულია გობეჩია.

2) საერობო რეფორმის სექციის თავმჯდომარედ მ. ჩახაბელი.

3) ჯარის ნაციონალიზაციის სექ-

ციის თავმჯდომარედ იოსებ გედევანიშვილი.

4) ხალხის ნაციონალიზაციის სექციის თავმჯდომარედ ლევან ნათაძე.

5) ადმინისტრატიულ სექციის თავმჯდომარედ გრ. გიორგაძე.

6) სასამართლო სექციის თავმჯდომარედ შ. მესხიშვილი.

7) საფინანსო სექციის თავმჯდომარედ ნიკო ნიკოლაძე.

8) სახურხაო სექციის თავმჯდომარედ ი. ქარცივაძე.

9) ქალების სექციის თავმჯდომარედ ეკ. ჩხენკელი.

10) ჯანმრთელობის სექციის თავმჯდომარედ პრ. დოცენტი ჯავახიშვილი.

ამ სექციების არჩევით დასრულდა გიორგობისთვის 20 სხდომა.

მ. ხაირხელი.

მილოცვა

ხონიდან: „მხურვალე სალამს ვუძღვნით მთელი საქართველოს წარმომადგენელთა პირველ უზენაეს ყრილობას და ვუსურვებთ სრულ წარმატებას თავისუფალ საქართველოს აღდგენისთვის მუშაობაში“.

ხონის ორგანიზაცია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

წინასწარი ზავი

რუსის ჯარისკაცებმა მთავარს ბანაკში ხიშტებზე აიგეს სარდალი დუხონინი, ბოლშევიკებმა ბრესტ-ლიტოვსკში წინასწარი ზავი ჩამოაგდეს გერმანელებთან. ასეთია უკანასკნელი ცნობა. ეს ცნობა დიდად სარწმუნოა. ამ დღიდან დაწყებული, როცა ლენინი რუსეთში დაბრუნდა, ე. ი. მთელი ნახევარი წლის განმავლობაში გერმანეთი ბოლშევიკების დიქტატურის დამყარებას ცდილობდა, რათა რუსეთისთვის ხელი გაეწყოლებინა შესარიგებლად. ახორციელებული იქნება, რომ ახლა ვილჰელმსა და ჰინდენბურგს ხელიდან გაუშვან მოპოვებული მოგებები.

უსაფუძვლოა ის შეხედულება, თითქოს ბოლშევიკური მთავრობა იმდენად სუსტი და უმიდგარო იყოს, რომ გერმანეთმა უხერხულად და დასამცირებლად მიიჩნიოს მასთან მოლაპარაკების დაწყება. ჰოჰენცოლერნის იმპერიაში ქვეყნის მეთაურად ადამიანები ბინადრობენ, რომელნიც ანგარიშს უწევენ არა სქოლასტიკურ რეზონიორობას, არამედ რეალურ ძალებს. და ეს ადამიანები ძალიან კარგად არჩევენ, რომ ლენინის მთავრობა ამ წუთში ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ ძლიერია, ვიდრე ოდესმე კერენსკისა, ლვოვისა ან შტიურმერის მთავრობა იყო. საგარეო საქმეთა კომისარის ბ. ბრონშტეინ-ტროცკის უბრალო ბრძანებაში არ უნდა ჩამოვარჩეთ ის განცხადება, რომ ახალი მთავრობა სრულიადაც არ საჭიროებს მოკავშირეების დასტურსა თუ ცნობას. თავი და თავი ის არის, რომ თვით რუსის ხალხის დიდმა ნაწილმა სცნო კიდეც ბოლშევიკების დიქტატურა. ყველაზე მჭევრმეტყველი არგუმენტი ხიშტების არგუმენტია, სტავკას ქალაქებისა და მთავარ ბანაკის აჯანყებამ კი ნათლად დაამტკიცეს, რომ ბოლშევიკებს ხელთ აქვთ ეს არგუმენტი. და რადგან როგორც ფილისტერის სულსა ისე უსახელო ბრბოში გატიტვლებული ძალა ყოველთვის დიდს მოქმედებას იწვევს, გასაკვირველი არ არის, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნებმაც გამარჯვება მიანიჭეს ბოლშევიკებს.

თავის თავად ცხადია, რომ დიდი პოლიტიკური რევოლუციის დროს შეუძლებელია ისეთი მთავრობის შედგენა რომელიც მთელი ქვეყნის მიერ იყოს ცნობილი. განა იაკობინელების მთავრობა ან რობესპიერის დიქტატურა კი მთელი საფრანგეთის მიერ იყო აღიარებული? რასაკვირველია, არა. საფრანგეთის რევოლუციის მსვლელობაში იყო ერთი მომენტი, როცა დეპარტამენტის სამი მეოთხედი აშკარად წინააღმდეგი იყო რევოლუციური პარიზისა და საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტისა. ამისდამიუხედავად კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს მეორე მთავრობა, რომელიც თავისი სიძლიერით ამ იაკობინურ კომიტეტს შეედრებოდეს. ძალას ჰქმნის არა მარტო რიცხვი, არამედ მჭიდრო ორგანიზაცია, იდეური სიმტკიცე და ხიშტების კონცენტრაცია.

როგორც ფრანგი იაკობინელების იდეური ძალა მათს მილიტარისტულს პროპაგანდაში იყო, ისე რუსი ბოლშევიკების ძალა მათს პაციფიზმშია. როგორც საფრანგეთის გამარჯვებამ და რევოლუციური ომების გადაგვარებამ ბოლო მოუღო რობესპიერისა, სენ-ჟიუსტისა და კუტონის ტრიუმვირატს, ისე მსოფლიო ომის გათავება და ზავის დამყარება ბოლოს მოუღებს ლენინისა, ტროცკისა და ჯუღაშვილის ტრიუმვირატსაც. რუსის ხალხი მათ მისდევს როგორც პაციფისტებს და არა როგორც სოციალისტებს. და როცა ისინი არა მარტო წინასწარ ზავს, არამედ საბოლოო მშვიდობიანობას ჩამოაგდებენ, დადგება მათი dies irae, დღე რისხვისა და მსჯავრებისა.

დღეს აშკარაა, რომ გერმანეთმა ფორმალურად მიიღო რუსული რევოლუციური იდეა უკონტრიბუციო და უანექსიო ზავისა ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე. გერმანელები ბიზანტიელების [illegible] როდი არიან, რომ კამათი დაიწყონ მეტაფიზიკური აბსტრაქციების შესახებ. მათ ეხალისებათ არა დიალექტიური გონება მახვილობის გამოჩენა, არამედ ხელშესახები უპირატესობის შეძენა. ცხადია, რომ გერმანეთს რუსეთის ბაზარი ესაჭიროება და არა რუსეთის კაპიტალები ან თამასუქები. ამიტომ ის ადვილად დასთმობს კონტრიბუციას. მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებოა ის, რომ გამარჯვებულმა გერმანეთმა შეიძლება ფორმალურად უარი სთქვას ანექსიაზეც. ეს, რასაკვირველია, მას ხელს არ შეუშლის არსებითად კურლანდიაც შეიერთოს და ლიტვის სახელმწიფოც.

საქმე იმაშია, რომ გერმანეთის იმპერია კავშირის სახელმწიფოა. ამ კავშირში ოცდა ხუთი ავტონომიური ერთეული შედის. თავისი განსაკუთრებული კონსტიტუციის შეწყობით გერმანეთს შეუძლიან ისეთი უმტკივნეულო ოპერაციის მოხდენა, როცა არ შეუძლია არც ერთს დიდს სახელმწიფოს დედამიწის ზურგზე: სახელდობრ ახალი ტერიტორიის შეერთება უანექსიოთ. შეიძლება ლიტვა და ლატვია ცალკე სახელმწიფოებათ გამოცხადდეს და შემდეგ შეთანხმებით თუ ნებაყოფლობით გერმანეთის იმპერიაში შევიდეს ბავარიისა ან საქსონიის მსგავსად. ეს არ იქნება ფორმალური ანექსია. ამგვარად, გერმანეთი სათხოვარსაც შეინარჩუნებს და კაპიტალსაც შეიძენს: ეს არ ძალუძს არც რუსეთს, არც ინგლისს, არც საფრანგეთს.

უეჭველია, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ინგლისს, არაფრად ეპრიანებათ ბრესტ-ლიტოვსკის ნოველა. პირქუში ალბიონი ჯერ კიდევ იმ გუნებაზე არ არის, რომ ხელი ჩამოართვას გერმანეთს. მაგრამ საეჭვოა, რომ მოკავშირეებმა შესძლონ ძალით რუსეთისა და გერმანეთის გადაბმული ხელების გაშვება. ამ მიზნისთვის მხოლოდ იაპონიის მახვილი გამოდგებოდა; მაგრამ იაპონია ბოლო დროს იმდენად გაძღა კორეისა, მანჯურიისა და ჩინეთის ტერიტორიით, რომ მის მადას აგრე რიგად ვერ გააღიზიანებს ციმბირის ტუნდრიანი უდაბნოები. უსურის მხარისა ან ციმბირის რკინის გზის მისადგომად კი იაპონიისათვის სრულიად საჭირო არ იქნება ევროპის კონტინენტზე ჯარების გადმოსხმა. მით უმეტეს, რომ თვით ბოლშევიკების მთავრობა ვერხნეუდინსკისათვის აგრე რიგად თავს არ გამოიდებს, მის შემდეგ რაც ვარშავა, ლოძი და ვილნო დასთმო.

გერონტი ქიქოძე.

ეროვნული კრება და ჩვენი ბოლშევიკები

ის მკვეთრი სიტყვა, რომელიც უნდა უცილებლად ეთქვა ეროვნულ ყრილობას, უკვე გაისმა: გარკვეულად და ეჭვის დაუტოვებლად გამოითქვა საქართველოსათვის თვით-კანონმდებლობის უფლების საჭიროება. ორატორებმა განურჩევლად ფრაქციული კუთვნილებისა ერთხმად აღიარეს, რომ საქართველო შინაურ პოლიტიკურ სფეროში სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს, ესე იგი, ჰქონდეს თავისი ნაციონალური სკოლა, სასამართლო, ეკლესია, მართვა-გამგეობა, გამოსცეს საკუთარი კანონები...

როგორი შეხედულებისაც უნდა ვიყოთ დღევანდელ კრებაზე, ორი გარემოება ბევრს გასათვალისწინებია: ერთი ის, რომ კრების დიდი უპირატესობა ამ სახეს იქნებოდა, თუნდაც ოთხ წევრიანი ფორმულის საშუალებით მოგვეწყო იგი და მეორე—წარმოუდგენელია, რომ არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს წარმომადგენლებს ყოველ შემთხვევაში არ დაადასტურებინოს ის, რაც შეადგენს ეროვნულ თეზისების უმთავრესს მუხლებს. მაშასადამე, ფორმალურ თვალსაზრისს რომ გადავუხვიოთ და საქმეს არსებითად შევხედოთ, დავრწმუნდებით, რომ ეროვნულ კრების კონკრეტული ნაბიჯები სავსებით შეესაბამება პოლიტიკურ პირობებს და ეთანხმება ქართველი ერის სულისკვეთებას.

მით უფრო გაუგებარია ბოლშევიკების წარმომადგენლის გამოსვლა. ვიდრე არსებითად შევეხებოდეთ მის სიტყვის ზოგიერთ მხარეებს, საჭიროდ მიგვაჩნია მეუმრავლესეთა ფრაქციის წარმომადგენელს მეთოდოლოგიური ხასიათის შენიშვნა გავუკეთოთ: როგორც მოგეხსენებათ, ლენინ-ტროცკის მთავრობის ერთ-ერთი პირველი დეკრეტთაგანი შეეხებოდა პატარა ერებს და ხაზ-გასმით აღნიშნავდა, რომ დაუყონებლივ მიღებულ იქნება ზომები ერთა თვითგამორკვევის პრინციპის განსახორციელებლად, და ამ მიზნით კიდევაც შესდგა განსაკუთრებული სამინისტრო ჩვენი თანამემამულე ჯუღაშვილის მეთაურობით. დღეს ერის საუკეთესო წარმომადგენლებს—ყველა პოლიტიკურ პარტიების ხელმძღვანელებს და დემოკრატიულ მმართველობათა წევრებს—მიზნით დაუსახავთ ქართველი ერის თვითგამორკვევის უფლების რეალად განმტკიცება და განა შესაძლებელია, რომ ამ დიდებულ მანიფესტაციას წინააღმდეგს სწორედ ის პარტია, რომლის ერთა უფლების აღდგენის დეკრეტს ჯერ მელანი არც კი შეჰშრობია!? [illegible] ნოე ჟორდანია, როდესაც უსაყვედურა ბოლშევიკს: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუაზე დიდი ზღვარია“.

ეროვნულმა ყრილობამ აღნიშნა დღევანდელი რუსეთის სოციალ-პოლიტიკური კრიზისი და ის გასაჭირი, რომელიც უცილობლად მოგველის, უკეთუ ამ ჟამად არ მივმართეთ თავდაცვას, არ გამოვძებნეთ გზა, რომელიც აგვაცილებს სამოქალაქო ომის დამღუპველ ტალღებს. ეს გახლდათ უმთავრესი მიზეზი ეროვნულ კრების დაჩქარებით მოწვევისა, ესევე უძევს სარჩულად ამ კრების მოწვევის ტექნიკურ მხარეს, რადგანაც დღევანდელ პირობებში სრულებით მოუხერხებელია პარლამენტური საარჩევნო კამპანიის გატარება და რიგიანი მოწყობა საყოველთაო არჩევნებისა. ეროვნულ კრებამ თავდაცვისაკენ მოგვიწოდა, მან დაამყარა ფუძე, რომელზედაც აღიმართება საქართველოს უზენაეს მოთხოვნილებათა გამომხატველი შენობა, თვით კანონმდებლობად წოდებული. ჩვენთვის ეჭვს გარეშე იყო, რომ ეს დებულება შეეთანხმებოდა ყველა პარტიებს და ამნაირად მოგვეცემოდა შეძლება სოლიდარულ მუშაობისა ეროვნულ ნიადაგზე. იმედი გაგვიმართლდა მცირედი გამონაკლისით: წარმომადგენელი იმ პარტიისა, რომელიც იბრძვის საერთო განთავისუფლებისათვის, არ მიემხრო ქართველი ხალხის ერთსულოვან ამოძახილს! ფ. მახარაძემ კატეგორიულად განაცხადა, რომ რუსეთში დღეს ანარქიაზე ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან, მისი რწმენით, ყველგან რუსეთში არსებობს სამაგალითო რევოლუციური წესები; მან მომენტი შეუფერებლად სცნო იმ მიზნისათვის, რისათვისაც კრებას უმეტესად უნდა ეზრუნა და თანაც დასძინა, რომ ქართველმა ხალხმა ანგარიში უნდა გაუწიოს იმ ასი-ათასიან ჯარს, რომელიც სულ მოკლე ხანში ბრუნდება უკან რუსეთში და, ალბად, არ ეპიტნავება ჩვენი საქციელი. ეს გარემოება არსებითად ყურადსაღებია და მცირე რიცხოვანი ქართველობამ იგი სახეში უნდა იქონიოს, მაგრამ დამახასიათებელია ფრიად, რომ შიში მოგვგვრის იქიდან, საიდანაც ისმის მიწის და [illegible] ხმა! თუ ბოლშევიკები გულწრფელად იცავენ დამონავებულ ერების ინტერესს და აქვეყნებენ მათთვის სახეიმო დეკლარაციებს, მაშ რაღათ გვაფრთხილებენ და გვითითებენ ზურგს უკან მდგომ ჯარზე? ბოლშევიკური თვის უმრავლესობით ეს ჯარი, ჩვენის აზრით, აღტაცებით მიეგებება განმათავისუფლებელ აქტს და ხელსაც შეუწყობს ერთა თვითგამორკვევის დამკვიდრებას, მაგრამ... სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა.

ბოლშევიკების ბელადი ეჭვის თვალით უცქერის კრების შემადგენლობას და ამტკიცებს, რომ მას არ ძალუძს გადაჭრას პირველ ხარისხოვანი სახელმწიფოებრივი საკითხები, კერძოთ არ შეუძლიან ქართველი ერის შესახებ დადგენილების გამოტანა. საეჭვოა, რომ ფ. მახარაძეს გულწრფელად ეთქვას ეს სიტყვები, საეჭვოა მით უმეტეს, რომ, თუ არ გვმოვეკიდეთ ფორმალობას, განა ცხადზე-უცხადესი არ არის, რომ საქართველოში ყველა მოქმედი პოლიტიკური პარტიები საქართველოს თვითგამორკვევის საჭიროებას იცავენ და ენერგიულად მოქმედებენ მის პრაქტიკულად განხორციელებლად! ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს ერის ხმა, მისი გარკვეული აზრი ამა თუ იმ საკითხზე, და არა საქმის ფორმალური მხარე.

ქართველი ერი დღეს გადაჭრით მოითხოვს თვის უფლების აღდგენას და წინააღმდეგობას მას ვერავინ გაუწევს, უკეთუ ერს ნებამ-ახდილ მტრად არ მოევლინა! ერის სურვილი უნდა დაკმაყოფილდეს, იდეალი მისი განცხოველდეს. დღეს საქართველო მოიხმობს ყველა ერთგულ შვილს, რადგანაც

მამულის დახსნის დღეს არის,
ქვეყანა გვიხმობს შველასა,
თავისუფლების შვენაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.

რ. ინგილო.

შთაბეჭდილებანი
მეორე დღე

ყრილობის ყურადღების მთავარი საგანი ნოე ჟორდანიას მოხსენებაა. ორატორი ტრიბუნაზე ადის. მე ვამბობ ორატორი, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ნოე ჟორდანია ორატორი არ არის. ყველა ქართველთაგან, რომელთაც კი ოდესმე ულაპარაკნიათ ტრიბუნიდან და არა ტრიბუნიდან, ჟორდანია იქნება ერთად-ერთი ქართველია, რომელიც სიტყვას ფერებში არ ღებავს. მისი სიტყვა შეუღებავი კვერცხია, მაგრამ მაგარი, ჩაკირული. ის ლაპარაკობს ფორმულებით, მოკლედ და ფილოსოფიურად. ყველა ორატორებში, რომელიც კი მე მომისმენია, ჟორდანია ერთად-ერთია, რომელსაც ძალუძს ტირადის მინიმუმამდე შემცირება და სიტყვისთვის იმ სიმოკლის მიცემა, რომლითაც ხასიათდება თვით აზრი, რომელსაც ეს სიტყვა გამოხატავს. თვით უგენიალესი აზრიც ხომ არა არის გარდა ადამიანის ტვინის წუთიერ გაქანებისა. და ჟორდანიაც, რომელიც სრულებით არ არის ორატორი, შესანიშნავად ხმარობს ამ დებულებას. მას ყურს უგდებენ, ტაშს უკრავენ.

ის ლაპარაკობს თანამედროვე მომენტზე, ქართველ ერზე, პოლიტიკაზე, რომელსაც მისდევდა ქართველი ერი ასი წლის წინეთ და რომელსაც მისდევს ეხლა. ანალიზი ღრმა არის, გონივრული—ეს იყო მშვენიერი გაკვეთილი მთელ მოაზროვნე საქართველოსთვის—და ახსენებს საშუალებას, რომელსაც უნდა მიმართოს ქართველმა ერმა, როგორც პოლიტიკურ სახსარს, თავის ხსნისას, თავის ცხოვრების მოწყობისას. მისი სიტყვები, „აჩქარება არ ვარგა—არც დაგვიანება ვარგა!“—მთელი პოლიტიკური პროგრამაა. ასეთი ეპიგრამა უკვე ჰგულისხმობს იმ წიგნის შინაარსს, რომელსაც დღეს ქართველი ერი სწერს—და აქ ჟორდანია მეტია, ვიდრე ორატორი!

ყველა დელეგატები, მთელი ხალხი ფეხზე დგება და [illegible] ოვაციებს უმართავს.

მოხსენების შემდეგ ტრიბუნაზე ერთი მეორეზე ფრაქციის ლიდერები გამოდიან. გიგო რცხილაძე, იოსებ გობეჩია, ნიკოლოზ ქარცივაძე, გიორგი გვაზავა, გრიგოლ გიორგაძე ერთმანეთს სცვლიან.

ისინი ფრაქციების მხრივ პატარა დეკლარაციებს აკეთებენ და ჟორდანიას მთავარ დებულებებს ეთანხმებიან. დისონანსი. ბოლშევიკებს შეაქვთ. მაგრამ მე მგონია, ეს დისონანსი არ არის, ეს უფრო ასონანსია. ესე იგი, პატარა განდგომა რუტინიდან, რევოლუციის მობილიზაციის სახელით.

ტრიბუნაზე ფილიპე მახარაძეა.

მე არაფერი არა მაქვს ქართულ ბოლშევიზმის საწინააღმდეგო, რადგანაც ის, რაც უნდა იყოს, განსხვავდება რუსულ ბოლშევიკებისაგან. მე მინახავს არხი-ბოლშევიკი ტროცკი, მაგრამ, ღმერთმანი, მახარაძე არა ჰგავდა მას. და ეს იმიტომ, რომ ქართველ ცხოვრების სინამდვილე არა ჰგავს რუსულ ცხოვრების სინამდვილეს. იქ, რუსეთში, ანგრევენ ის, რაც თვით რუსებსაც მოსწყინდათ. აქ საქართველოში კი შენდება ის, რაც შეადგენდა ნატვრას ასი წლის განმავლობაში ქართველი ერისა. სწორედ ამით აიხსნება, რომ არსებითად მახარაძეს არც გაულაშქრია მოხსენების მთავარ დებულებებზე. როდესაც ის ჩამოვიდა ტრიბუნიდან და ტრიბუნაზე ისევ ჟორდანია ავიდა, ჩვენ დავინახეთ, რომ მახარაძის არც ერთი ისარი არ მოხვედრიდა მას და მისი სხეული მრთელი იყო...

ზავის გარშემო

ცალმხრივი შერიგება

ბარანოვიჩის მიმართულებით რუსის ჯარს გერმანელებთან შესარიგებლად პარლამენტიორები გაუგზავნია. დაპირებული ძღვნები გერმანელებს არ გამოუგზავნიათ და პარლამენტიორებიც აღარ დაბრუნებულან.

ნაწილობრივი შერიგება

რუსის ჯარის თითო პოლკი ცალ-ცალკე ურიგდება გერმანელებს. ამ დღეებში პეტროგრადს დაბრუნებულა ერთი სამხედრო ნაწილის დელეგაცია, რომელსაც ნაწილის სახელით საზავო ხელშეკრულება დაუდვია მტერთან. ხელშეკრულება რუსულად და გერმანულად დაწერილი.

ყაზახები და ზავი

ფრონტზე მდგარ ყაზახებს თავისი მთავრობისაგან ბრძანება მოსვლიათ, რომ არ დაემორჩილონ ბოლშევიკების განკარგულებას მტერთან შერიგების შესახებ და სამხედრო მოქმედება განაგრძონ.

პაპის ახალი საზავო ნოტა

რომის პაპი მოკლე ხანში ახალ ნოტას გამოსცემს. ნეიტრალ ქვეყნების დიპლომატიურ წრეებში იმედი აქვთ, რომ ამ ნოტის შედეგი უფრო ნაყოფიერი იქნება.

რუსეთი და იაპონია

იაპონიის მთავრობას განუცხადებია სახალხო კომისართა საბჭოსთვის, როგორც კი გამოაქვეყნებთ საიდუმლო ხელშეკრულებებს, მაშინვე შევწყვეტთ რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობასო.

იაპონიის ჯარი ციმბირში

ვლადივოსტოკში იაპონიის სამხედრო ფლოტი მოვიდა დესანტის გადმოსასხმელად. ციმბირის რკინის გზის დიდი ნაწილი იაპონელების ხელშია და [illegible] ჯარის კაცები სდარაჯობენ. სახალხო კომისართა საბჭომ ციმბირის საზღვარი დახურულად გამოაცხადა.

გერმანელების მზადება შეტევისათვის

კოველის რკინის გზის მიდამოებში გერმანელები დამკვრელ დივიზიას აგდებენ. ხმები გავრცელდა, გერმანელები დემონსტრატიულ ხასიათის შეტევას დაიწყებენ, რომ რუსებმა მეტის გამბედაობით მოითხოვონ ზავი.

ვენეციის დაცლა

ამას წინად გავრცელებული ხმები ვენეციის დაცლის შესახებ ნაადრევი გამოდგა. ეხლა გერმანელები მხოლოდ რამდენიმე ვერსით-და არიან დაშორებულნი ქალაქზე. იტალიელები წინააღმდეგობას უწევენ. ქალაქის დაცლა უკვე დაიწყო.

რუმინეთის ფრონტის ჯარის კაცები

რუმინეთის ფრონტის ჯარის კაცები მთლად ბოლშევიკების მხარეზე არიან. მოითხოვენ დაუყოვნებლივ დროებით ზავის ჩამოგდებას. სრულებით არ თანაუგრძნობენ საარმიო კომიტეტებს. საგანგებო ლაშქრის ჯარის კაცებს მოუთხოვიათ სხვები მოგვაშველეთ, თორემ თხრილებს დავტოვებთ და ზურგში დავბრუნდებითო.

დროებით ზავის ოქმი

კრილენკოს რწმუნებულები სწერენ ოქმში, „გიორგობისთვის 13-ს, ნაშუადღევის პირველის ნახევარზე ჩვენ ბანაკიდან გავედით ფრონტზე. 4-სა და 20 წუთზე მოსკოვის პოლკის უბანში ჩვენ გადავედით მავთულის ხლართებზე. 5 საათზე თეთრ-ხვეულები ბათალიონის შტაბში აგვიყვანეს. იქ წერილობითი რწმუნებულება გადავეცით. მოლაპარაკება ფრანგულად გვქონდა. ჩვენი წინადადება პოლკის მეთაურს გადასცეს დივიზიის შტაბში, იქიდან ფრონტის მთავარსარდალს, შემდეგ ჩვენ დივიზიის გენერალთან აგვიყვანეს. იგი სადღესასწაულო ფორმაში დაგვხვდა და 24 საათის განმავლობაში პასუხის გაცემა დაგვპირდა. 7-სა და 50 წუთზე მივიღეთ ცნობა უმაღლეს მთავარსარდლისგან: მოლაპარაკებაზე თანახმა ვარო. პასუხით იგულისხმება რუსეთისა და გერმანიის პარლამენტიორების გადასვლა დვინსკისა და ვილნოს შუა, იქიდან წავლენ პეტროგრადს, შემდეგ გერმანელთა აღმოსავლეთ ფრონტის უმაღლეს მთავარსარდალთან, ბრესტ-ლიტოვსკში დაბრუნდებიან.

ბანაკის კიევში გადატანა

მოგილევი დაცლილა. მოკავშირეთა მისიის ნაწილმა სცადა წასვლა. ბანაკის მოხელეებმაც დაიპირეს. მიაქვთ დოკუმენტები. [illegible] ბანაკის კიევში გადატანა გადაიწყვიტეს, მაშინ როდესაც მიიღეს ცნობა, რომ ბანაკისკენ მიემართება სამი ეშელონი მეზღვაურთა. მთავარი მოხელენი მალე გაემგზავრნენ კიევისკენ. წასვლის დროს მათ სტრატეგიული რუკები დაიწვეს. დილით ჯარის კალთა დეპუტატების საბჭომ გიორგის კავალერები გაგზავნა. ირკვევა რომ ბანაკის მდგომარეობა ორ ბოლშევიკურ ფრონტის შუა მეტად უნუგეშოა. პეტროგრადის მხრივ ბანაკს არაფერი არ ემუქრება, მხოლოდ დასავლეთის ფრონტიდან კი საფრთხე ელის. საფრონტო სამხედრო კომიტეტმა დაადგინა დაარწმუნოს მთავრობა რომ ბანაკს დასტოვებს. დუხონინს ბონჩ-ბრუევიჩი სცვლის. სმოლნის ინსტიტუტთან მოლაპარაკების შედეგები არ ვიცით. ბანაკი ცლიდება. ხმებია ორშასა და მოგილევს შუა სროლაა. უცხოელების მისია მოგილევის სადგურზეა. წასვლა ვერ მოახერხეს. ბანაკის ნაწილმა კიევში შესვლა ვერ მოასწრო. ბოლშევიკების ჩამოსვლამდე ვერვინ წავიდა ბანაკიდან.

გრენადერების კორპუსი

დასავლეთის ფრონტზე გრენადერების კორპუსმა ხელი მოაწერა გენერალ [illegible] შტაბთან დროებით შეთანხმებაზე.

სამხედრო ტყვეთა განთავისუფლება

სახალხო კომისრების საბჭომ განათავისუფლა ყველა სამხედრო ტყვე. პირველ რიგში გერმანელები გაუთავისუფლებიათ.

რადიო-ტელეგრამა ავსტრო-უნგრეთს

პეტროგრადი. გიორგობისთვის 18. ავსტრო-უნგრეთის მთავრობამ რადიო-ტელეგრამა მიიღო სახალხო კომისრების საბჭოსგან. საბჭო აცხადებს, რომ იგი მზადაა მოლაპარაკება დაიწყოს დროებით ზავის ჩამოგდებისა, რომ შეიმუშაონ საყოველთაო ზავის ხელშეკრულება ავსტრო-უნგრეთის აზრით [illegible] მოლაპარაკების დასაწყებად.

ავსტრო-უნგრეთის თანხმობა

პეტროგრადი. გიორგობისთვის 18. ავსტრო-უნგრეთის მთავრობა აცხადებს მზად ვარ დროებით ზავზე მოლაპარაკებას შევუდგე და წარმომადგენლები გამოვგზავნო გიორგობისთვის 19 ს მოსალაპარაკებლადო.

საგარეო საქმეთა მინისტრი
ჩერნინი.

დემონსტრაციები

გიორგობისთვის 18. ბერლინში, ბუდაპეშტში და ლინცში საზავო დემონსტრაციები მოხდა. ბუდაპეშტის დემონსტრაციაში 150 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ორატორები მოითხოვდნენ ზავს რუსულ ფორმულის თანახმად. ყველგან სიმშვიდე გრძნობდნენ.

დროებითი ზავი

ყველა მებრძოლ სახელმწიფოთა ერებს. გერმანიის უმაღლესი მთავარსარდალი თანახმაა ფრონტზე დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ. მან იცნო დემოკრატიული ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე. უმაღლეს მთავარსარდალმა კრილენკომ წინადადება მისცა, რომ დროებით ზავზე მოლაპარაკება გადადებულ იქნეს 5 დღით გიორგობისთვის 19-მდე, რომ ხელმეორედ მივმართოთ მეომარ სახელმწიფოებს, რათა აზრი გამოგვეთქვათ ზავის შესახებ. რუსეთის ფრონტზე სამხედრო მოქმედება მთლად შეწყვეტილია. ამ ხუთ დღის განმავლობაში ჯარი არ დაიძვრება. [illegible] დასრულდა. ახლა ყველა მთავრობა, კლასები და პარტიები მოვალენი არიან განაცხადონ: თანახმანი არიან თუ არა რომ ჩვენთან ერთად დაიწყონ მოლაპარაკება საყოველთაო ზავზე. უპირატესობა თუ არა ძველი ქვეყნის პროლეტარიატი ამ ჩვენს გარდაქმნას. ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ ჩვენი საზავო პროგრამა. ჩვენ გამოვაქვეყნებთ ძველ საიდუმლო ხელშეკრულებებს მოკავშირეებთან. ხელშეკრულებებს გამოვაცხადებთ არა სავალდებულოდ. წინადადებას ვაძლევთ ახალ ხელშეკრულებაზე. ქრისტეშობისთვის 1-ს (ახალი სტილით) ჩვენ საზავო მოლაპარაკებას დავიწყებთ, თუ მოკავშირენი წარმომადგენლებს არ გამოგზავნიან ჩვენ საქმეს მარტონი შევუდგებით. ჩვენ გვსურს საყოველთაო ზავი, ხოლო თუ მოკავშირე ქვეყნების ბურჟუაზია გვაიძულებს სეპარატიულ ზავს, პასუხი თვითონ აგონ. ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, შეერთებულ შტატების, ბელგიის და სერბიის ჯარის კაცებო, მუშებო და გლეხებო ქრისტეშობისთვის 1-დან საზავო მოლაპარაკება იწყობა. ველით თქვენს წარმომადგენლებს. ნუ დაეკარგებათ ერთი საათიც. ძირს ზამთრის კამპანია! ძირს ომი! გაუმარჯოს ზავს, ხალხთა ძმობას.

გარეშე საქმეთა კომისარი
ლ. ტროცკი.
სახალხო კომისრების თავმჯდომარე
ვ. ლ. ულიანოვი-ლენინი.

ბოლშევიკების დიქტატურა

პეტროგრადში

„ნოვოე ვრემია“-ს სტამბა

პეტროგრადი. გიორგ. 18. „ნოვოე ვრემია“-ს სტამბა დაუცლიათ. ხსენებულ სტამბაში „სოლდატსკაია პრავდა“ დაიბეჭდება.

საპოლიციო დეპარტამენტის დირექტორი

პეტროგრადი. გიორგ. 18. გიორგობისთვის 17 სმოლნის ინსტიტუტში ამოიყვანეს საპოლიციო დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი ზუევი. იგი სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტის ბრძანებით შეიპყრეს.

მუშ. კონტროლის საბჭო

პეტროგრადი. გიორგ. 18. შრომის კომისიის მოწოდებით მიმართა მუშათა ორგანიზაციებს წარმომადგენლები აირჩიონ სრულიად რუსეთის მუშათა კონტროლის საბჭოში.

სამხედრო სამინისტროში

პეტროგრადი. გიორგ. 18. სამხედრო სამინისტროს გამგემ გენერალმა მანიკოვსკიმ ბრძანება გამოსცა, დაუყოვნებლივ დაშლილ იქნას სამხედრო სამინისტროს პოლიტიკური მმართველობის განყოფილება.

თავისუფალი ქორწინების დეკრეტი

სახალხო კომისართა საბჭომ აღკრძალა საეკლესიო წესით შეუღლება. ნებადართულია მხოლოდ სამოქალაქო წესით ჯვარის დაწერა. ქალმა და ვაჟმა, რომელთაც ჯვარის დაწერა უნდათ სარაიონო გამგეობას უნდა განუცხადონ ეს. აკრძალულია შეუღლება 18 წლისაზე პატარა ვაჟისა და 16 წლისაზე პატარა ქალის.

სოციალისტური ბლოკი

მენშევიკებმა, სახალხო სოციალისტებმა და ტრუდოვიკებმა ბლოკი შეკრეს დამფუძნებელ კრებაზე ერთი პროგრამის დასაცველად და ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. დამფუძნებელ კრების ჩაშლის წინააღმდეგ დიდ ღონისძიებას იხმარებს ეს ბლოკი. განზრახული აქვთ შეადგინონ საგანგებო რაზმები დამფუძნებელ კრების დასაცველად.

ქაღალდის ფულის გამრავლება

ქაღალდის ფულის დასაბეჭდებელი სახელმწიფო ექსპედიცია დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობს. დღეში 120 მილიონ მანეთის ფულს უშვებს.

სახელმწიფო ოქროს დაუფლება

გამოიცა დეკრეტი სახელმწიფო ქონებათა საწყობის გასაღებების ბოლშევიკების ხელში გადაცემის შესახებ. ამნაირად მთელი სახელმწიფო ოქრო ბოლშევიკებს ეკუთვნით.

სამხედრო წესები კიევში

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ კიევში სამხედრო წესები გამოაცხადა, რასაც უკავშირებენ იმას, რომ ბრძოლის ველიდან თავის ნებით წამოსული 2 პოლკი პოლტავაში ძალით დაბინავებულა. უკრაინის სხვა და სხვა ნაწილში ანარქია გაძლიერდა.

სატახტო ქალაქებიდან გამოქცეულნი

ვორონეჟს აუარებელი გამოქცეული მოაწყდა მოსკოვსა და პეტროგრადიდან. ქალაქში ძარცვა გახშირდა. ჯარისკაცებმა მოკლეს პოლკოვნიკი იაზიკოვი, რომლის ლეში 3 დღე ეგდო ქუჩაში.

მდგომარეობა ტაშკენტში

ტაშკენტში მდგომარეობა გამწვავდა. მღელვარების დროს მოკლულია 417 კაცი, დაჭრილია 2000.

შიმშილი ასტრახანში

ასტრახანში შიმშილია. დღედღეზე მოელიან დამშეულთა ამბოხებას. მდგომარეობა საშიშია.

ჩხრეკა და დაპატიმრება

ბოლშევიკებმა ხელმეორედ დააპატიმრეს ყოფილი მინისტრები: პროკოპოვიჩი, მალიანტოვიჩი, ნიკიტინი, გვოზდევი, ლიევეროვსკი, მასლოვი და ბერნაცკი. დააპატიმრეს აგრეთვე პეტროგრადის ქალაქის თავი შრეიდერი, ჟურნალისტები: პიტერსი, იაროცკი და არგუნოვი, გაჩხრიკეს ვინავერი, მილიუკოვი და შინგარევი. უკანასკნელებს ჩამოართვეს პარტიული მიწერ-მოწერა და სხვა ქაღალდები.

გაზეთების გამოსვლა

ბოლშევიკების მიერ დახურული გაზეთები: „ბირჟა“ და „რეჩი“ ძალით გამოვიდა, ხოლო უკანასკნელს „ნაშა რეჩი“ ერქმევა.

გაზეთის თანამშრომლების გაფიცვა

მთავარი შტაბის ორგანო „არმია ი ფლოტ სვობოდნოი როსიი“ ბოლშევიკების ხელში გადავიდა. რედაქტორად „ნოვოე ვრემია“-ს გამომცემლობის საბუღალტრო ფურცლების რედაქტორად ნამყოფი უნტერ-ოფიცერი ერემეევი დაუნიშნავთ. გაზეთის თანამშრომლები გაფიცულან.

მთავრობის შექმნის საკითხი

ახალი მთავრობის შესადგენად ბოლშევიკებსა და სოც.-რევოლუციონერებს შორის მოლაპარაკება გრძელდება. უკანასკნელნი აუცილებელ პირობად იმას ითხოვენ, რომ ლენინი და ტროცკი არ შევიდნენ მომავალ მთავრობაში.

შავრაზმელი კომისრად

სანიტარო ნაწილის გამგედ სახალხო კომისართა საბჭოს დაუნიშნავს ვინმე ბოლოტოვი, რომელიც 1905 წ. სტუდენტებს უნივერსიტეტიდან გაუდევნიათ აშკარა შავრაზმელობისთვის და რამდენიმე წლის შემდეგ კი შულერობისთვის დაუთხოვნიათ უნივერსიტეტიდან.

გლეხთა ყრილობის რეზოლუცია

პეტროგრადი. გიორგ. 2[illegible]. სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების მეორე ყრილობა თავის რეზოლუციაში მოითხოვს, რომ ახალმა მთავრობამ ყოველი ზომები იხმაროს ადგილ-მამულების დემოკრატიულ, კომიტეტებისადმი გადასაცემად პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას, საჭიროა ამ კომიტეტებს მიეცეთ ინსტრუქციები და ფულებიო.

ფინანსთა მინისტრის თანაშემწის დანიშვნა

პეტროგრადი. გიორგ. 21. ფინანსთა მინისტრის ამხანაგად სახალხო კომისართა საბჭომ დიმიტრი პეტრეს ძე ბოგოლეპოვი დანიშნა.

მინისტრის გადაყენება

პეტროგრადი. გიორგ. 21. ლუნაჩარსკიმ დეკრეტი გამოსცა სწავლა-განათლების კომიტეტის დათხოვნის შესახებ. დაითხოვეს სწავლა-განათლების მინისტრის თანაშემწე, დეპარტამენტის დირექტორები და ვიცე-დირექტორები.

ახალი სახელმწიფო კონტროლიორი

პეტროგრადი. გიორგ. 21. სახალხო კომისართა საბჭომ სახელმწიფო კონტროლის დროებით სახალხო კომისრად ედუარდ ედუარდის ძე ესსენი დანიშნა.

კადეტთა ბიუროს დარბევა

ბოლშევიკები დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს ძალადობას იმართავენ, განსაკუთრებით მიზანში ამოღებული ჰყავთ კადეტები. არჩევნების დღეს დაარბიეს და დაამტვრიეს კადეტების საუბნო კომიტეტის ბიურო.

კერენსკი საზღვარგარეთ

ქრისტიანიაში უნახავთ კერენსკის მდივანი, რომელიც ინგლისში მიდიოდა. მას ჟურნალისტებისთვის უთქვამს, კერენსკი ყოველივე ხიფათს მოშორებულია და არაფრის შიში არა აქვს; მას მომავლისა დიდი იმედი აქვს. კერენსკი ამბობს: ბოლშევიკებს ამბოხების მოხდენის წინ მოლაპარაკება ჰქონდა გერმანიის მთავრობასთანაო. ჟურნალისტების აზრით კერენსკი ინგლისში უნდა იყოს.

ბოლშევიკების მთავრობაში

სახალხო კომისრების მთავრობა ახალ ბინაზე გადადის. მისთვის დაცლილია სმოლნი ინსტიტუტში მე-3-ე სართულის ნაწილი. სხვათა შორის ახალი მთავრობა დაიჭერს უბრწყინვალეს კნიაგინა ლივენის ოთახს. სახალხო კომისრების ბინაზე მოსახვედრად საჭიროა წითელ გვარდიელების რამდენიმე პიკეტის შუა გავლა. ამ დღეებში შემოიღებენ საგანგებო ბარათებს სახალხო კომისრების საბჭოში შესასვლელად.

ელჩების გადაყენება

პეტროგრადი. გიორგ. 18. ტროცკიმ გადააყენა ყველა საზღვარ-გარეთ მყოფი ელჩები, რომელთაც მთავრობას ნდობა არ გამოუცხადეს.

სამინისტროს მოსამსახურეთა პროტესტი

პეტროგრადი. გიორგ. 21. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უმცროსმა მოსამსახურეებმა პროტესტი განუცხადეს სამინისტროს უფროს მოსამსახურეებს მუშაობის შეწყვეტის გამო და მოითხოვენ დაუბრუნდნენ საქმეს.

სკოლის რეფორმის მოთხოვნა

პეტროგრადი. გიორგ. 21. საშუალო სასწავლებლების სოციალისტი მასწავლებლები და მოწაფენი მოითხოვენ სწავლების საქმეში ძირითადი რეფორმების მოხდენას მოითხოვენ და ლუნაჩარსკის სახალხო კომისრად დანიშვნის გამო სალამს უძღვნიან.

გლეხთა საბჭოს მოწოდება

პეტროგრადი. გიორგ. 21. გლეხთა დეპუტატების საბჭო მოუწოდებს გლეხებს ყოველგვარ საშუალებით მხარი დაუჭირონ საადგილ-მამულო კომიტეტებს ხელი შეუწყონ მათ მუშაობას, რომელიც მიმართულია მიწების, სამეურნეო იარაღის და მუშა საქონლის გლეხებისადმი უსასყიდლოდ გადაცემის კანონის განხორციელებისაკენ და დაიცვან ეს კომიტეტები გადაყენებულ მთავრობის მხრივ ძალადობისა და დევნისაგან. გლეხობას ბრძოლაში მხარს დაუჭერენ როგორც ჯარი ისე მთელი მუშათა კლასიო, დასძენს საბჭოს თავმჯდომარე სპირიდონოვას ქალი.

დამფუძნებელ კრების არჩევნები

კრონშტადტში.

პეტროგრადი. გიორგობისთვის 18. ბოლშევიკებმა მიიღეს 17.027 ხმა, მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებმა 2 080, უპარტიოებმა 1.081, სოციალისტ-რევოლუციონერებმა, ობორონცებმა 680, სოციალისტ რევოლუციონერთა ჯგუფმა 162.

ტოტმაში.

ტოტმა. გიორგობისთვის 18. ქალაქის უბანში არჩევნები დასრულდა. 2.335 ამომრჩეველთაგან მონაწილეობა მიიღო 1.117-მა. სოციალისტ-რევოლუციონერებმა მიიღეს 102 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა 183, სახალხო სოციალისტებმა 245, კადეტებმა 536, „ედინსტვო“-მ 44.

ვლადივოსტოკში.

ვლადივოსტოკი. გიორგობისთვის 17. ჯერ-ჯერობით ვლადივოსტოკის, ნიკოლსკის, ხაბაროვსკის და ამურის, ნიკოლაევსკის არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს 52.406 კაცმა. მათგან ბოლშევიკებს 28,393 კაცმა მისცა ხმა, კადეტებმა მიიღეს 9.306 ხმა, გლეხთა დეპუტატების საბჭომ 6.520; თვით ვლადივოსტოკში სოციალისტ-რევოლუციონერებმა მიიღეს—4.756, მემარჯვენე სოციალისტ-რევოლუციონერებმა—2.801, მენშევიკებმა 2.663, ყაზახებმა—1530.

ხაბაროვსკში.

ხაბაროვსკი. გიორგობისთვის 13 (დაგვიანებული). არჩევნების პირველ დღემ ცოცხლად ჩაიარა. ქუჩებში სიცოცხლეა. ჯგუფ ჯგუფად მსჯელობენ მიმდინარე საკითხებზე და კანდიდატთა სიებზე. წესიერება არ დარღვეულა.

ჩუხლომაში.

ჩუხლომა. გიორგობისთვის 14 (დაგვიანებული). სოციალისტ-რევოლუციონერებმა მიიღეს—541 ხმა, კადეტებმა 498 ხმა, მენშევიკებმა 417 ხმა, ბოლშევიკებმა 114, სამღვდელოებამ და სამწყსომ 75. საარჩევნო სიაში სულ 1214 კაცი ირიცხება.

ეროვნული საკითხი

მღელვარება ფინლიანდიაში

ფინლიანდიიდან ცნობები აღარ მოდის. ქრისტიანიიდან იტყობინებიან, რომ ფინლიანდიაში მდგომარეობა ერთობ აირია. კლასთა შორის ბრძოლა მეტის მეტად გამწვავდა. წითელ გვარდიელები და ჯარის კაცები ყველას სცარცვავენ განურჩევლად, დატუსაღება და ხოცვა ჟლეტა ჩვეულებრივი მოვლენაა.

ანტირუსული განწყობილება ფინლიანდიაში

ფინლანდიელებმა ერთიანად იბრუნეს პირი რუსებისაგან. დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მათ შორის რუსეთის ჩარევამ ფინლანდიის შინაურ საქმეებში. რუსები თვალის დასანახავადაც კი სძულთ. თავის მძულვარებას ისინი არა ჰფარავენ და წვრილმანებშიაც კი გამოხატავენ. ყველა პარტიები ერთხმად მოითხოვენ რუსებისაგან გამოყოფას.

რუსეთი და უცხოეთი

უცხოელთა ფინანსები რუსეთში

პარიზის ფინანსიურ წრეებში პანიკა გამეფდა. მათ ეშინიათ, რომ რუსეთში დაბანდებული ფრანგების 20 მილიარდი მანეთი დაილუპება. მანეთის ღირებულება ნამეტნავად დაეცა. რუსეთისათვის დამზადებულ სამხედრო იარაღში მოკავშირენი ფულს აღარ აძლევენ, როგორც ეს განზრახული იყო წინად.

მოკავშირეთა გემების რუსეთიდან წასვლა

თეთრ ზღვაზე ქ. არხანგელსკის ნავთსადგურიდან მოულოდნელად გასულან ინგლისისა და ამერიკის საბარგო გემები, რომლებიც ნახევრად გადმოუტვირთავი ყოფილა.

უკანასკნელი დეპეშები

მთავარი ბანაკის ბოლშევიკების მიერ აღების წინა დღით გენ. დუხონინი კიევში გაქცევას აპირებდა, ჯარის კაცებმა მატარებლიდან გადმოიყვანეს და იქვე მოჰკლეს.

—

კორნილოვი გაიქცა. ჯარში ამან ექსცესები გამოიწვია.

—

თერგის ოლქში ნამდვილი ომი გაიმართა ინგუშებსა და ყაზახებს შორის. ბრძოლის ცეცხლი მოედო ყარაბულახის, ფელდმარშალის და ასინოვსკის სტანიცებს. ინგუშებმა ფელდმარშალის სტანიცა აიღეს და გადასწვეს. ბრძოლაში მონაწილეობას იღებს არტილერია, ჯავშნიანი მატარებლები და ქვეითა ჯარი. რამდენიმე სოფლები ააოხრეს და ყველგან ცეცხლი მძვინვარებს.

ყუბანის ყაზახთა ატამანმა ყარაულოვმა ბრძანება გამოსცა, რათა სასტიკი ზომები მიიღონ პროვოკატორებისა და უწესოების მომხდენთა წინააღმდეგ და სიკვდილითაც კი დასაჯონ.

—

ოსმალებს გენ. პრჟევალსკიმ დროებითი ზავის პირობად დაუდო, რომ ჯარების მოძრაობა შეაწყვეტონ და ინგლისელთა წინააღმდეგ ჯარი აღარ გააძლიერონ.

—

ამიერ კავკასიის მთავრობა ჯარსა და მცხოვრებლებს აუწყებს კავკასიის ფრონტზე დროებითი ზავის შეკვრას: ჯარს მოუწოდებს ფრონტი არ მიატოვონ, ხოლო მცხოვრებლებს მიმართავს ჯარს მიაწოდონ სურსათი და სხვა საჭირო საგნები, თუნდაც თვითონ დაიმშიონ.

ქრონიკა

თბილისი

◆ **ევ. გეგეჭკორი.** თავმჯდომარე ამიერ კავკასიის კომისარიატისა, ქუთაისს წავიდა. კომისარიატის დროებით თავმჯდომარეობა აკ. ჩხენკელს ჩააბარა.

◆ **მილიციონრების მოთხოვნილება.** თბილისის მილიციონრებს კრება ჰქონდათ გიორგობისთვის 19-ს და დაადგინეს სთხოვონ ქალაქის გამგეობას რომ, ცხოვრების გაძვირების გამო, გაუდიდოს უფროს მილიციონრებს თვეური ჯამაგირი თითოს 350 მანეთამდე, ხოლო უმცროსებს 300 მანეთამდე.

◆ **მატარებლებში ჩხრეკის აკრძალვა.** ამის წინად ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა სამხედრო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეს წინადადება მისცა შეაწყვეტინოს ამიერ კავკასიის, თავრიზის და კახეთის რკინის გზებზე უკანონო ჩხრეკა.

◆ **შიმშილი პროვინციაში.** სიღნაღიდან, ბორჯომიდან და ახალციხიდან დეპეშით ატყობინებენ საგუბერნიო სასურსათო გამგეობას, რომ პური სრულებით არ მოგვეპოვება, შიმშილი თანდათან ძლიერდება, საჩქაროდ მოგვაშველეთო.

ქუთაისი.

◆ **საბჭოს არჩევნები.** ხელ ახალი არჩევნები ჯარის კაცთა საბჭოს დეპუტატებისა გათავდა. გაიმარჯვეს სოც.-რევოლუციონერებმა. დაწვრილებით შემდეგ.

◆ **ყაჩაღების დაპატიმრება** გიორგობისთვის 18 დააპატიმრეს ცნობილი ყაჩაღები ღვედლაძე, ჩიქვინიძე, კაცის გატაცებაში „დახელოვნებული“ ლომინაძე და ერთი კიდევ სხვა.

◆ **გიმნაზიის გახსნა.** გაიხსნა მესამე გიმნაზია. სწავლა 15 დაიწყო.

◆ **მილიციის ხარჯები.** ქალაქის საბჭომ დაადგინა მილიცია გაძლიერდეს და თითო მილიციონერს თვეში 125 მანეთი მისცეს.

◆ **ჯარი და პურის სიმცირე.** ქუთაისის მეციხოვნე ჯარს წინადადება მისცეს იკმარონ ის პური, რომელიც მათ სამხედრო უწყებიდან ეძლევათ და ნუ იყიდიან სამოქალაქო თორნეებში გამომცხვარ პურს.

◆ **ფეხსაცმელების შესახებ.** ოდესიდან სასურსათო კომიტეტის რწმუნებული ჩხეიძე იტყობინება, რომ იქ შეიძლება შეძენილ იქმნას დიდძალი ფეხსაცმელები, როგორც ქალისა ისე კაცისა. ქალის ფეხსაცმლები (ხრომისა და ბოქსის) იყიდება 75-დან 100 მანეთამდის და კაცის კი 80-დან 110 მანეთამდის.

ბათუმი

◆ **შემოწირულება.** გიორგობისთვის 15 გარდაცვალებულ სოკრატ ფეს ტირიპელის მეუღლემ მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავად შესწირა სხვა და სხვა საქველმოქმედო და საზოგადო დაწესებულებებს 3500 მანეთი. იქედან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას—200 მანეთი.

ყვირილა

უწეს-რიგობა რკინის გზებზე. რკინის გზის ადმასრულებელმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა რკინის გზის ცენტრალ კომიტეტს, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები რკინის გზებზე უწესრიგობის წინააღმდეგ. კონტრაბანდით ეზიდებიან შაქარს, არაყს, ღვინოსა და ფქვილს. ამასთანავე გახშირდა მატარებლებზე ქურდობა. ადგილობრივი მთავრობა ვერაფერს აწყობს ამის წინააღმდეგ.

დამფუძნებელ კრების არჩევნები

სიღნაღი

◆ **არჩევნების შედეგი.** დამფუძნებელ კრების არჩევნები დასრულდა. სოც.-დემოკრატებმა მიიღეს 1909 ხმა, კადეტებმა—36, ესერებმა—122, დაშნაკელებმა—933, ბოლშევიკებმა—22, ფედერალისტებმა—62, ეროვნულ-დემოკრატებმა—93.

ახალქალაქი

◆ **ქალაქის თავის არჩევა.** ქალაქის თავად აირჩიეს მ. მარქარიანი, მოადგილედ ხაჩატურიანი—ორივე დაშნაკცაკანები.

ახალციხე

◆ **ძალადობა არჩევნებში.** (საკუთარი დეპეშა). საარჩევნო კომისიის წევრი კანტემიროვი საარჩევნო კანონს არღვევს; ავტომობილით ქუჩა-ქუჩა დაჰყავს პროპაგანდისტები და აგიტაციას ეწევა. არჩევნებში ბაქოელი თათრების მხრივ ძალმომრეობაა. ქ. მარტვილელი.

ქობულეთი

◆ ქობულეთის რაიონში მენშევიკებმა მიიღეს 4700 ხმა, ეროვნულ დემოკრატებმა—1198, სოციალ-ფედერალისტებმა—140.

სვირი

◆ მენშევიკებმა მიიღეს 2627 ხმა, ბოლშევიკებმა—1, ესერებმა—28, ს.-ფედერალისტებმა—39, ნაციონალ-დემოკრატებმა—193.

სტატსკი სოვეტნიკი ნიკოლოზ ბაადეიჩ ბადაევი როგორ შეიცვალა მოქალაქე ნიკო ბაადურ ძე ბაადურაშვილად

(დასასრული)

ათი წლის განმავლობაში ნიკომ თითქმის ათი სემინარია გამოიცვალა და გზა და გზა დასტოვა თავისი გატაცებანი მოსწავლეთა გამოფხიზლებაზედ და ჩვეულებრივ ჩინოვნიკ-პედაგოგად ჩამოყალიბდა, სისტემა და ზომიერება შეითვისა და დარბაისლდა.

სიდარბაისლე მას აქეთ უფრო შეეტყო, როდესაც რუსი პროფესორის ქალი შეირთო და პროფესორთა შორის მისვლა მოსვლა დაიწყო და თითონაც პროფესორის კათედრას ტრფიალება დაუწყო. ისტორიულ მონოგრაფიების წერაზედ, რასაკვირველია, ხელი აიღო და აღარც ქართველთა მეფეთა წარსული გმირობის სახელი გაუხსენებია.

თუმცა, კაცმა რომ მართალი სთქვას, საქართველოს სიყვარული და იქითკენ ცალის თვალით ყურება, არც ერთ წამს არ დავიწყებია. რათ უნდოდა სამშობლოსი დაბრუნება? თითონაც არ იცოდა, მაგრამ მაინც ყოველ შემთხვევით სარგებლობდა, რომ სამსახური საქართველოში ეშოვნა და ბოლოს ბედმაც გაუღიმა და რაღაც ბედნიერმა შემთხვევამ ოცი წლის სურვილები აუსრულა. უთუოთ უფროსნი დარწმუნდნენ, რომ ნიკოლოზ ბაადიჩი ეხლა საკმაოთ დაჩლუნგებული იყო რაიმე ბრძოლისათვის და ალვირი მიუშვეს.

ნიკო აქაც, თავის ქვეყანაში, ჩვეულებრივ, შესანიშნავად და წესიერად ასრულებდა თავის თანამდებობას, სანიმუშო მასწავლებელი იყო ისტორიისა და მიღებულ პროგრამას თავის დღეში არ გადაუხვევდა, გარეშე გაკვეთილისა, ბავშვს მოწაფეებთან არ ეწეოდა, ამხანაგებთან თუმცა კეთილი განწყობილება ჰქონდა, მაგრამ აგრე რიგად არავის უახლოვდებოდა. მთელი დღე, მთელი სიცოცხლე განაწილებული ჰქონდა გაკვეთილებსა და მოწაფეთა ნაწერების გადასინჯვა-შესწორებას.

ათასში ერთხელ თუ წავიდოდა ქართულ თეატრში, ან საზოგადო კრებაზედ სადმე ისიც ინკოგნიტოთ, რომ უმფროსებს არ შეეტყოთ და ამ შეტყობისა და მეთვალყურეობისა ისე ეკრძალებოდა, რომ ყოველთვის ხმის ამოუღებლივ იჯდა და შეუმჩნევლად რჩებოდა ყველასაგან.

იმისი ლურჯი ვიცმუნდირი ყოველთვის სუფთა და კარგად შეკერილი იყო. ორთავიანი არწივებით შემკული მუნდირის ფოლაქები და ლურჯი „კარტუზის“ [illegible] ქუდის ორ[illegible] სასიამოვნოთ უბრჭყვიალებდა განიერ და მუნჩულა გულ-მკერდზედ. საყელო სამაჯურები ყოველთვის სითეთრით და სისუფთავით ნარნარებდნენ.

ჯერ-ჯერობით იმისი პატრიოტობა იმაში გამოიხატა, რომ მზარეული ქართველი დაიჭირა და ჩიხირთმის, ფლავის და ბოზართმის შეკვეთას მოუხშირა, რითიც დიდი აღელვება გამოიწვია სჩისა და ბორჩის მოტრფიალე აგრაფენა პეტროვნასი.

ორმოცდა ხუთის წლის ბადაევი უკვე სტატსკი სოვეტნიკი იყო, როდესაც ცამ დაიგრიალა და დედამიწა შეინძრა და რუსეთში სრულიად მოულოდნელად მონარხია დაეცა და რევოლუციამ დაამყარა თავი უფლება სიტყვისა, კრებისა, შეკავშირებისა და სხვა და სხვა ბედნიერებისა.

საქართველოს, როგორც უფრო დაჩაგრულს და დღემდე სხვის ხელში შემყურებელს ბედნიერება უფრო სრული, უფრო ბრწყინვალე და აღფრთოვანებული იყო. კრებები, კავშირები, ძმობა, ერთობა და სრულის უფლებით აღდგომის სურვილები ყველას ფრთებს ასხამდა. ყველა დღემდე მოტირალი და მგლოვიარე, ძაძებით მოსილი სამშობლოს მონებისთვის, გამოცოცხლდა, ღრუბლები მწუხარებისა უკუ ჰყარა და ჯანსაღათ წელში გაიშალა, ხმა ამოიღო და ხელი მისცა მეორეს და გაისმა მძლავრად ხმა შეერთებული ერისა, რომელიც მალე ხმად ხუთისად უნდა გადაქცეულიყო.

ყველა არსებული პარტია დაუშურა შეეკრიფა თავის გარშემო ყოველი თავის თანამოაზრე და მიზიდნა, გაეწრთვნა არა თანამგრძნობელიც და გაეხარდა პროპაგანდა, კავშირები, კონფერენციები. მუშავდებოდა დეკლარაციები, იძლეოდა დირექტივები მომავალი მოქმედებისა, პროგრამები სასურველის წეს-წყობილებისა.

პირველ კრებაზედ ახალგაზრდა პარტიის ეროვნულ-დემოკრატიისა გამოცხადდა ჩვენი ნაცნობი სტატსკი სოვეტნიკი ნიკოლოზ ბაადეიჩ ბადაევიც და პირველად ოცდახუთის წლის განმავლობაში ჩაეწერა წევრათ. სიაში თავის ნამდვილი ქართულის გვარით და სახელით: მოქალაქე ნიკო ბაადურის ძე ბაადურაშვილი და პარტიის სასარგებლოდ 500 მ. წარადგინა.

თვით კრებაზედაც ის სულ სხვა სახით და სხვა შეხედულობით შევიდა. თავ აღებული, თამამის ნაბიჯით, პირზედ სასიამოვნო ღიმილით და ლურჯ ვიცმუნდირის მაგივრად ლურჯი ხალათით და ზედ ვენგერთა ნაციონალურ კურტკით. ხელშიაც რუსული ქუდის მაგივრად ოთხათ მოკეცილი ჟოკეის ქუდი ეჭირა. წვერი ვანდეიკურად ჰქონდა მოპარსული და ულვაშები კოხტად შეგრეხილი. თეთრ მანჟეტების მაგივრად, (რომელთაც ყოველთვის მუნდირის სახელოებიდან გარეთ იწევდა ხოლმე უცნაურის ჩვეულებით) გრძელ ხალათის განიერი სახელოებიდან დიდლიქა კლავები მოუჩანდა და გვერდზედ შეკრულ ხალათის დაბალ საყელოდან ძლივს დამსხვილებული და ჩასუქებული კისერი. ის პირველ რიგის სკამზედ დაჯდა და ამ დროს მოლაპარაკე ამხანაგს თვალი თვალში გაუყარა და ჯერ ორატორს თავისი აზრი ნახევრადაც არ დაესრულებინა, რომ ნიკომ თავმჯდომარეს სიტყვა სთხოვა და ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— თქვენ, ამხანაგო, ძრიელ ჰკვეცავთ პარტიის სურვილებს და მომავალი მოქმედების პროგრამას ასუსტებთ, უფერულად ხდით, გაბედულობას გვერდს უქცევთ. ჩვენ პირდაპირ, გულახდილით უნდა წავიდეთ წინ და დავამსხვრიოთ ბჭენი ჯოჯოხეთისანი და ვინც აღგვიდგება წინ გავსრისოთ, გავიტანოთ ჩვენის თქმით, ზარი დავცეთ მტერს! რას მიქვიან ცდა, გამორკვევა, მიბაძვა სხვა ერების მოქმედებისა. ჩვენ, ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი წყობილება. ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ერს! გვეყო თავდახრა, სამარცხვინო უღლის ტარება მცონარ მონებს. დროა ლახტი გავიტანოთ და ჩვენი ჩვენთვის შემოვიზღუდოთ. მე ვიწვევ პარტიის ბელადებს რადიკალურის გადაწყვეტილებით გაძლევს ერს გამოფხიზლებულს და ბურთი და მოედანი ხელთ დაიკავოს!..

— ვინ არის, ვინ არის? ეკითხებოდნენ ერთმანეთს გაკვირვებით კრების წევრნი ამ უცნობ, თმებ შეთეთრებულ ვაჟკაცის სითამამით და ჭაბუკურის აღფრთოვანებით და პასუხს არავინ იძლეოდა, ნაცნობნიც ვეღარ სცნობდნენ სტატსკი სოვეტნიკს, დინჯს, დარბაისელს, ფრთხილს და დამფრთხალ მოხელე ბაადეიჩ ბადაევს, ძმა-ჭაბუკ ბაადურის ძე ბაადურაშვილში.

მაგრამ რა იყო აქ გასაკვირი? თავისუფლების ხმა, ერის ძახილი განა ის ერიქონის საყვირი არ არის, რომელიც მამულიშვილებს საფლავშიაც სძრავს? და ბაღდურაშვილს ხომ გული ჰქონდა მხოლოდ მჭვარტლით შემურული!

მქ. გაბაშვილი.

გიორგობისთვის 18.

მოწინავე რაზმი

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?
ორბ.

(დასასრული *)

მხოლოდ ორჯერ გადუხვია თავისს დევიზს საქართველომ: ერთხელ, როდესაც შეიჭრა სპარსეთში და მეორედ, როდესაც გაინავარდა ტრაპიზონისკენ, მაგრამ ეს შემთხვევებიც გამოიწვია: 1-ლი—სომეხ ამირსპასალარის თხოვნამ დასასჯელად მის მოძმეების საუკუნოებით გამჩანგლველებისა, მეორე—ჭანეთის მხრივ მიჯნის გამაგრების და საჯვაროსნო ომების მწარმოებლების დახმარების სურვილმა.

სხვაფრივ, საქართველო ერთნაირად იწყნარებდა თავის ღვიძლს შვილსა და უცხოელს, იცოდა, როგორც თვითონ ტკბილია თავის შვილებისთვის, ისე ტკბილია სხვა ტომებისთვისაც მათ-მათი მამული, სამშობლო, გაეთვალისწინებინა, რომ ცის ქვეშ ყველასთვის ადგილი, მიწა-წყალი მიჩენილია თვით ღვთისაგან, რომ დედამიწის ზედაპირი, ვით რაიმე თვალწარმტაცი დიდი ხალი, მოწყობილ-მოქარგულია თეთრიან, შავიან, წითურ და ყვითელ კანიან ხალხებისაგან, მრავალგვარ ტომ-მოდგმათა თუ [illegible]საგან და რომ თითოეულ ჯგუფის მოშლა-ამოგდება ან ყველას შეერთება დაასახიჩრებდა თვით იმ ლამაზ ხალიჩისებრ ადამიანთა ჯვარტომებით მოქარგულ ქვეყანას.

ქართველის ასეთი შეხედულება კაცთა შორისს ურთიერთობაზე ემყარებოდა მრავალ საუკუნოვანს მათს გამოცდილებაზე.

ქართველი მას ბოლოსა და გამოცდილებამ მიახვედრა, რომ რა გინდ კაცი ლატაკი იყოს, უქონელი, ბოგანო, მაინც ასეთის გულშიაც შეუძლებელია არ ღვიოდეს მცირედი ნაპერწკალი მამულიშვილობისა, მშობელ ქვეყნისადმი სიყვარულისა; მიხვდა, რომ ამ გრძნობას აღვიძებენ უთვალავნი მრავალგვარნი პირობანი, რომელთაგან გარემოცულია იგი დაბადებითვე.

ნათესაობა, წრე, საზოგადოება, გარეშე ბუნება, ღვიძლი ენის საიდუმლო ხმები,—ყველა ეს არისო ის ხელოსანი, რომელიც ჰქმნისო ამა თუ იმ პიროვნებას, რომელიც იპყრობსო მთელს მისს არსებას, რომელიც ათესლებსო მასში მამულიშვილურ გრძნობას.

ქართველმა იცოდა, რომ ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადი იქ არისო, იცოდა, რომ ეს მარტო ფრინველზე კი არ იყო ნათქვამი, არამედ ყველა სულიერ არსებაზე.

ყოველი სულდგმული თავის ბუნაგისკენ მიიზიდება, მიიწრაფვის, უმეტესად კი ადამიანი.

„სადაც შობილვარ, გავზრდილვარ
და მისრბოლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის
და მათი კუბოს ფიცარი—
ჩემი სამშობლო ის არი".

მიიზიდავს კაცს არა მარტო ოჯახი, სადაც დაიბადა, სადაც შეიგნო სიცოცხლე, ადამიანობა, სადაც ჩაენერგა გულში სიყვარულის ნაპერწკალი, სადაც განიცადა ალერსი მშობლებისა, და-ძმისა, ნათესავებისა, არამედ სამშობლო ქვეყნის წყალთა სიგრილე, ჰაერის შეხავებულობა, მცენარეთა ფერადობა, ჩანჩქერთ ჩხრიალი, კაცთ ღრეობა, წეს-ადათები, თავისებური ადგილობრივი საჭმელ-სასმელიც კი.

აქ მას ეთვისება ყოველი მტკაველი მიწისა, ყოველი ყლუპი ანკარა წყაროსი, ყოველი სუნთქვი ჰაერისა, ყოველი [illegible].

ყაზბეგის ერთი გმირი საციმბიროდ რომ მიდიოდა, გაიყოლია ერთი მუჭა მიწა სამშობლოისა, რომ რა არის, იქ რომ მოვკვდე, ეს მიწა მაინც წამეყაროს საფლავზე, რომ კვალწმინდათ არ წავწყმდე და მან მაინც შემაერთოს მშობელ სათემო გორხანასთანაო.

ესეთი მიმზიდველია, რუსთაველის სიტყვით რომ ვსთქვათ, „მშობლიური ტკბილი ცა, წყალობისა მთოველი".

ესეთი მაგნიტები მიმზიდველია არა თუ მარტო ვრცელი საერთო მამული, არამედ მისი მცირე ნაწილიც კი, ხეობა, კუთხე, არე.

უცხოეთის ბუნება, უცხოეთის მწირობა ხშირად აჰლექებს კაცს, საკუთარი ქვეყნისა კი დედის რძესავით შეერგება.

ქართველს უხდება მისი ქვეყნის ღარიბი მოწყობილობა, ვიდრე, ვთქვათ, გერმანეთის მდიდრული მორთულობა. კაცია და ბუნებაო. ქართველს მოსწონს თავისი მთა-გორიანი მამული, ინგლისელს თავისი ბუღიან-ჯანღიანი კუნძული, ლეკს თავისი თოვლიანი და მწირი დაღისტანი, ზანგს—თავისი თვალუწვდენელი ბალახიანი მინდვრები. ყველას თავისი და თავისიანობა ესაყვარლება, იტყუებს.

რომელი ერისათვისაც მტარვლობის სასტიკ ქარიშხალს დაუკარგვინებია სამშობლო, ასეთი ეძებს დაკარგულ კერას, მამულს. ებრაელობას პალესტინისაკენ გალაგება ჰსურს, სომხობას ვანისკენ მიუხარიან, დიდი სახელმწიფოები უფრო გაფართოებას მოინდომებენ.

თუ უწინ მარტო ელლინები და რომაელები სთვლიდნენ თავიანთ თავს პატრიოტებად და სხვებს ბარბაროსობით იხსენიებდნენ, ამასვე გაიძახიან ევროპაში დღესაც: ჩვენ რჩეული ერი ვართო, სხვები ურდოებიაო, მეტადრე დაბალი (!) აზიელებიო.

ნამდვილად კი ყველა ერი თავის კვალობაზე რჩეულია. ყველას აქვს მისთვის ტკბილი სამშობლო, ყველას თანაბრად უშუქებს მზე, ყველას უფლება აქვს იცხოვროს, დასტკბეს ქვეყნის სიმშვენიერით, იამაყოს თავის მამულიშვილობით.

ქართველს შეგნებული ჰქონდა, რა იყო ყალბი მამულიშვილობა, იგი ჰხედავდა, რომ ყალბ მამულიშვილობამ მოიდნო ისეთი კულტურული ცხოვრებანი, ვით ეგვიპტისა, ბაბილონისა, ასურეთისა, ფინიკიისა და სხ. კაცი კაცის მგელიაო, ამბობდნენ რომაელები, და პირველნი თვითონ იყვნენ ასეთები. მათმა კაცთ ჭამიობამ, რომელსაც იგინი ეძახდნენ პატრიოტობას, მოიდნო არა ერთი თავისუფლად მცხოვრები ეროვნება, მაგრამ ბოლოს თვით რომაელობაც ჩაჰყლაპა გერმანელთა. „პატრიოტი" ბიზანტია კი გადასანსლა „ბარბაროს" ოსმალეთმა. ასრევე დაიმხო არაბების მსოფლიო მპყრობელობა, მონგოლთა შეტევის ზვავიანობა.

თუ ყალბ პატრიოტობას, სხვათა შეუწყნარებლობას კალიასებ არ მოეჭამა ფარაონების სამშობლო, არ [illegible] აკკადი, სუზიანა, ელამი, ბაბილონი, არ ამოეგდო მიდია, ხელი არ ეხლო ჰაეროვან საქართველოსათვის, ვინ იცის, რამდენს აღმატებულ კაცებს გააჩენდნენ იგინი, ვინ იცის, რაფერ დიდებული იქნებოდა დღეს ქვეყანა.

უსულგულო მამულიშვილობამ კი სუნთქვა შეუკრა სხვის მამულიშვილობას. ლომმა გაგლიჯა დათვი, დათვმა შეჭამა ძაღლი, ძაღლმა—კატა, კატამ—თაგვი, თაგვმა—მიწა, მიწამ—ქანგი, ქანგმა—თოფი თოფმა—მგელი, მგელმა—თხა, თხამ—ვენახი.

ამისთანა გლეჯა-ნგრევას ვერ იგუებდა ქართველი, ამისთანა ძალმომრეობას ერიდებოდა ქართველობა, რადგან იცოდა, რომ ჭეშმარიტი ბედნიერება სადმე ერთს ოლქსა და მისადგომში ვერ დამყარდება, თუ დანარჩენი ოლქები და თემები უბედურების მორევში სულს ღაფავენ. ასეთი შეხედულებისაა ქართველობა დღესაც. მას თავისს მამულის აყვავება მარტონად კი არ ჰსურს, არამედ ყველა ხალხების სამშობლოსთან ერთად.

დიდსულოვანი ქართველი არ ედავება არავის, არც ჰსურს, რომ სდავონ სხვებმაც.

კაცთა შორის სათნოების დამყარების საქმეში ქართველი გამოდის „ტვინად" და არა „ნერვად", რადგან იცის, რომ ნერვი და გული ჰშობავს ხანმოკლე გრძნობას და ტვინი კი საუკუნო გონიერებას. ნუ ვუღალატებთ ჩვენს უმანკო დევიზს, სწრაფვას, თუ გვინდა, რომ გონიერების ძალებით აყვავებული კულტუროსანი საქართველო გავაქციოთ სანატრელ წალკოტად. გამარჯვება ჰსურს ძლიერებით და [illegible].

მ. ჯანაშვილი.

კორესპონდენცია

ზემო იმერეთიდან

ერთი თვალის გადავლებით შეგვიძლიათ დავრწმუნდეთ, რომ დაწყებულ კრების არჩევნები ჩვენსკენ არანორმალურად რჩება. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ აქ ახალი არჩევნებია და არა ფარული კენჭის ყრა. ყველა იმის აწყრა, თუ რამდენ ბოროტებას აქვს ადგილი ამ არჩევნების დროსაც—შეუძლებელია. როგორც უცის დასაწყის ხანებში თუ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმდევარნი ხალხს—ახახელდ ძირს ავტონომია, ეს ბატონ-ყმობის მობრუნებაო, სამაგიეროდ დღეს ტკბილი ენით მიწასა და თავისუფლებასთან ერთად ჰპირდებიან ხალხს, რომ იგინი იცავენ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ დაჩაგრულ ერთა გასანთავისუფლებლად. რადგანაც ერთხელ ხელთ იგდეს ხალხის მეთაურობა, როგორც უნდათ ისე მიდიან ხალხთან და ცდილობენ სხვა პარტიის მიმართულების აზრების გაზიარებას, აღარაფერს ერიდებიან, ოღონდ თავისი გაიტანონ. ხალხიც ყურს უგდებს კრებაზედ ატეხილ კინკლაობას, ეტყობა, რომ მოიდალა, ამიტომაც თითქმის გაურბის როგორც ყოველ ნაირ კრებას, აგრეთვე კენჭის ყრასაც, ამას უკვე ადასტურებს ქალაქი ქიათურის არჩევნები, როგორც სამი ათას ამომრჩევლისაგან რვა ასმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა შორის მეტი ხმა მიიღო მუშათა პარტიამ და სულ ნაკლები ე. ი. 262 სოციალისტებმა.

ცხადია, თუ ასეთი მაგალითი არ განმეორდება სოფლებში, ეს იმისი ბრალი იქნება, რომ იგივე მუშათა პარტიის მეთაურნი, კომისრიდან მოყოლებული უკანასკნელ ჰაჩაკა პროპაგანდისტამდე, სოფლიდან სოფლად ცხენებით დადიან თავიანთების კონვერტებს ურიგებენ სახლებში. სოფლის გლეხს ყუთის ადგილამდე სხვა მიმართულების კაცი არ ხვდება—ყუთთან კიდევ იგივე დემაგოგი პროპაგანდისტები მარჯვედ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას იმ მხრივ, რომ სხვა რწმენა კაცს ყიჟინითა და დაცინვით აიძულებენ მოქცევასა. ერთი სიტყვით, მათს ძალმომრეობას და ბოროტმოქმედებას ჯერ ლაგამი ვერავინ ამოსდო. აი პატარა ნიმუში პროვინციაში არჩევნების დასახასიათებლად: 11 ნოემბერს დაბა საჩხერის თეატრში არჩევნების სამზადისში კრება გაიმართა ხალხიც ბლომად დაესწრო. კრებამ თავმჯდომარედ მომრიგებელ მოსამართლე მ. ნიკურაძე დაასახელა—საწყალმა კრებამ მის არჩევას სიჩუმით აუარა და კრების თავმჯდომარეთ ამ საღამოსათვის უტყვი დ. გძლიტვილი აირჩა. დამსწრე საზოგადოებას ქიათურიდამ მოსულმა ერთმა სოც.-დემოკრატიულ პარტიის წევრმა განუმარტა ხალხს სიწმინდე და დიადი შედეგები თვისი პარტიისა, მაგრამ შემდეგ ირონიული კილოთი შეეხო სხვა პარტიათა მიმართულებას—მას გამოეკამათა ამ. გ. ბრეგაძე, რომელსაც ჰსურდა ვრცლად განემარტა დებულება კერძო მესაკუთრეობის შენახვა-აყვავებისა, რომ ამ გზით შეიძლება მხოლოდ დაცვა ეროვნული სიწმიდისა და აგრეთვე ერის კულტურულად წინსვლისა. მაგრამ მას აღარ აცლიეს ლაპარაკი და აიძულეს ორატორი გაჩუმებულიყო. ამავე კრებაზედ გამოვიდა სალაპარაკოდ ჯარის კაცი აბრამიშვილი, მაგრამ არც ეს აალაპარაკეს. როცა აბრამიშვილმა შენიშნა, თუ არ მალაპარაკებთ, თქვენგან არჩეულ მთვრალ თავმჯდომარეს როგორღა ალაპარაკებთო, ერთი აყალმაყალი ასტყდა, მათრახით წელში მილიციონერი ვითომც წესიერების აღდგენას შეუდგა. ხალხი [illegible] გახდა დარბაზი დაეტოვებინა.

არაფერი გვითქვამს იმის შესახებ, რომ არჩევნების მწარმოებელი კომისია ყველა პარტიის წარმომადგენლებს ასწორებს. ამით შეიძლება არჩევნებს წესიერი არჩევნები უწოდოთ—ყუთთან ადგილობრივ—ხოლო რაც შეეხება სოფლად და უბნებში ოჯახ-ოჯახში რიგდება, როგორც მოგახსენეთ პირველი ნომრის სიები. ასეთი გზით არჩევნები, თქმა არ უნდა მოკლებული იქნება ელემენტარულ სამართლიანობასაც-კი.

ყოველთვის უნდა ვცდილობდეთ წესი და რიგი არ დაირღვეს. ფარული კენჭის ყრა იმიტომაა შემოღებული, რომ ყველას მიეცეს საშუალება აირჩიოს სანდო ადამიანი. სამწუხაროდ, არჩევნების უფლებანი ვერ მოვახმარეთ რიგიანად, არავითარ წესს აღარ ვხედავთ, ხალხს გაუგებრობაში ვაგდებთ და აღზრდის ნაცვლად კიბოსავით უკან ვიწევთ...

გალ. ქავთარაძე.

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

როგორც გაზეთებში იყო გამოქვეყნებული, ბორჯომის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს დადგენილებით მე გადამაყენეს წაღვერის ტყის მცველ უფროსის თანამდებობიდან და მთლად აღმიკრძალეს ცხოვრება ბორჯომის ხეობაში. მიზეზი, რომელიც აღნიშნა ხსენებულმა საბჭომ, ის იყო რომ მე, გლეხებს ვურჩევდი ბორჯომის მამულისათვის გამოერთმიათ $^9/_{10}$, ხოლო $^1/_{10}$ დაეტოვებინათ მამულისათვის. ოქმში არ იყო აღნიშნული თუ რას ნიშნავდა ან და რისა იყო ეს $^9/_{10}$ და $^1/_{10}$. ამიტომ საჭიროდ ვთვლი განვმარტო. გლეხები ჰკრიდნენ, აზიდებდნენ და ადგილას მიჰქონდათ ეს ხე-ტყე. ამაში მამული მათ აძლევდა 18—20 კაპ. კუბიკურ ფუტში, ბაზარში კი ამის ფასი 1 მან. 20—1 მან. 50 კაპ. იყო. ამ რიგად ბორჯომის მამულს, გლეხების ნაშრომისა რჩებოდა სულ ცოტა ერთი მანეთი. გლეხებს კი სულ ბევრი ერთი აბაზი. აი ამაზე მქონდა ლაპარაკი გლეხებთან და ამ უსამართლობის მოსპობა მედო გულში. მე კი ეს დანაშაულობაში ჩამითვალეს და გამაძევეს. შემდეგ მივმართე ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის გამომძიებელ კომისიას, მან გამამართლა და ბორჯომის ხეობაში თავისუფალ ცხოვრების უფლება მომცა. ამ გამართლების გარდა, ასეთი ამბავიც მოხდა: კომიტეტს უნდოდა, თავისი დადგენილება ჩემი გაძევების შესახებ სოფლის ყრილობას დაედასტურებინა, მაგრამ ყრილობამ არ დაადასტურა, პირ-იქით, დიდი უკმაყოფილება და გულის წყრომა გამოუცხადა კომიტეტს ამის გამო და ჩემი და ჩემთან ერთად სხვა გაძევებულების დაბრუნება მოსთხოვა.

ასეთია მოკლეთ ჩემი გაძევების ამბავი. ჩემი გამართლების მიუხედავად ჩემი მტრები დღესაც ჭორებს ავრცელებენ.

პატივისცემით
მიხეილ მურგანიშვილი.

რედაქტორი [illegible].

კალენდარი

ხუთშაბათი,
გიორგობისთვის
23

მე-9 დღე ქრ. შობის მარხვისა.

ქართვ. წმ. მამ. ამფილოქესი და გრიგორ აკრაკანტელ ეპისკოპოზისა.

კათოლ. კლემენტისა.

მაჰმად. პიანჯ-შამბე 20 რ. საფარისა 1336 წ. ჰეჯრისა.

ებრაელ. იომხამიშ 22 რ. ქისლევი 5678 წ. ქვ. შექმ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ საფ. № 5, 11,32 დილ.
სამგზ. № 9, 11.28 დილ.
ხაშურ-ბორჯომის. № 19, 3.17 დღ.
„ „ № 17, 8.19 დილ.
ბაქოსაკენ ჩქარ. № 6, 9.51 დილ.
„ საფ. № 4, 8.46 საღ.
საქარასკენ სამგზ. № 4 8, 12.15 საღ.
„ № 61. 8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე).
„ № 63.4, 48 სამუშაო დღეებზე მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან სამგზ. № 10, 8.38 დილ.
„ საფ. № 6, 7,41 საღ.
ხაშ.-ბორჯ. სამგზ. № 20, 7.57 დილ.
„ სამგზ. № 18, 9.50 საღ.
ბაქოდან საფ. № 8, 10 26 დილ.
„ ჩქარ. № 5, 10 20 საღ.
ყარს-ჯულფ. საფ. № 3***, 7. 58 დილ.

კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.

ქ. შ. წ. გ. საზოგადოების ბათუმის
ქართულ სკოლაში
გაიხსნა მასწავლებლის ადგილი.
ჯამაგირია 2,000 მან. წლიურად. თხოვნა გამოიგზავნება გამგეობის თავმჯდომარის გ. ელიავას სახელობაზე.
4—880—1

წარმოდგენა № 11.
კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის
სახალხო სახლი
ს. ს. ხალ. სახ. ქართვ. წარ. მმართვ. წრე.
პარასკევს 24 ნოემბერს 1917 წ. წარმოდგენილი იქნება
მეზობლები
დრ. 4 მოქ. ტ. რამიშვილისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ◆ ადგილების ფასი 1 მ. 20 კ. 25 კ-დე.
შემდეგი წარმოდგენა 7 დეკემბერს. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟ. კ. შათირიშვილი. რეჟ. თანაშ. ალ. ბადრიძე.
2—843—1 ქარ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

ქართული კლუბი
ქართული დრამა. წარმოდგენა № 17.
ხუთშაბათს 23 ნოემბერს, 1917 წ. თბილისის ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა.
არამზადები
დრამა 4 მოქმედებად.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ჭიჭინაძე ან., ივერიელი ა., შოთაძე ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარამაძე ნ., დადიანი შ., ხარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., კობახიძე ი., ჟორჟიძე ს., შალიკაშვილი გ., სარაული მ., ციციშვილი ნ.
დასაწყისი სრულ 8 საათზე.
რეჟ. ვ. შალიკაშვილი.
მზადდება ახალი პიესა ხვ. [illegible] „[illegible]".
3—842—2

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მთავარი კომიტეტი
იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სათავადაზნაურო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს კანცელარიაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

თბილისის
პირველი უბნის კომიტეტი
ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე [illegible].

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი
ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 6—7-დე [illegible] ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი
ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე [illegible] ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი
ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის [illegible] კალატოზიშვილთან.

ამიერ-კავკასიის ბანკში
(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)
იყიდება
ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.
დაწვრილებითი ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—35

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი-
ხოდნევისამ
განაახლა
ავადმყოფების მიღება.
10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.
ოლღის ქუჩა, № 22.
25—823—22

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსებისძე
ჟორდანია
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.
გორის ქუჩა № 6, დიდუბე.
თ—879—1

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
ტელეფონის № 14—09

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.
თ—20

---

*) იხ. „საქართ." № 256.

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა [illegible] შესახვევი № 4.
გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო"